# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი. 2023 წ. №112 (9644) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## თბილისში დაბადებული ჩათლახი ლავროვი დაჰპირდა ბჟანიას, რომ...


იხ. 9 გვ.

## კარასინი ზურაბიშვილს პოლიტიკურ შიზოფრენიკს უწოდებს





„საქართველოს პრეზიდენტმა მორიგი ღრმააზროვანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, თუ უკრაინა ვერ გაუძლებს, შემდეგი, ვისაც რუსეთი თავს დაესხმება, საქართველო და ბალტიის ქვეყნები იქნებიან. ქალბატონო პრეზიდენტო, ეს პოლიტიკური შიზოფრენიაა, რომელიც რთულად იკურნება. თქვენ უფრო შორი მიზნების დასახელება გამოგრჩათ – გერმანიის, შვეიცარიის, მალტის. უმჯობესია, გავიხსენოთ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, ნატო დაჰპირდა რუსეთს, რომ ალიანსის გაფართოება არ მოხდება, სინამდვილეში კი უზარმაზარი ნაბიჯებით ეს ვეეზერთელა და სულაც არა მშვიდობიანი ალიანსი რუსეთს უახლოვდებოდა“, – დაწერა კარასინმა.

„მათ ჩვენს ქვეყანას ალყა შემოარტყეს. უკრაინა – ბოლო ზღუდეა, სადაც შექმნილია რუსეთთან დაპირისპირების პლაცდარმი. ამის მიზეზიც გასაგებია.

არ არის აუცილებელი საკუთარი თავის დაშინება“.

## რაულ ჩილაჩავა:

## არასოდეს დანებდე განსაცდელს, არასოდეს დარჩე სხვის იმედად, არასოდეს უღალატო საკუთარ იდეალს!



ორი მოძმე ერის დიდი შვილი 6

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით დაჯილდოვდა

## ილია ჭავჭავაძის გზით!

5



## დღის კოლაჟი



ბათუმი, 3 ოქტომბერი, საკონსტიტუციო სასამართლო



მაია კოპალეიშვილი: – წარდგინების ავტორი ირაკლი კობახიძე ატარებს ლექციას და მთელი სასამართლო უსმენთ მდუმარედ, ეს არაა სწორი, თუ კითხვის დასმა უნდა, ეს უნდა იყოს სხვაგვარად და არა მიშველება!..

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სადაგი დღეები

7

## ქართველები მიდიან, უცხოელები შემოდიან!

გაამართლებს თუ არა დასაქმების მიზნით უცხოელების საქართველოში შემოყვანა?



7

# სიტყვით პრინციპულობას საქმით პრინციპულობა უნდა მოჰყვეს!

## ირაკლი ღარიბაშვილი: „გირჩის“ მავნებლობა დასრულდა!

### ათწლიან პერსპექტივაში 100 000 ახალგაზრდა გვეყოლება მომზადებული

**გაწვევის სამსახური გადადის თავდაცვის სამინისტროში 2024 წლის პირველი იანვრიდან და ასევე, 2025 წლიდან ყველა წვევამდელი სამსახურს გაივლის თავდაცვის სამინისტროში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 2 ოქტომბრის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, თავდაცვის კოდექსით დარეგულირდება „გირჩის“ ინიციატივა, რომლის შედეგადაც ბევრი ახალგაზრდა შეცდომაში იქნა შეყვანილი.

**„მოგეხსენებათ, რომ პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი თავდაცვის კოდექსი. ამაზე ჩვენ დიდი ხანია, ვმუშაობდით. მინდა, მადლობა გადავუხადო პარლამენტს. ეს არის ეროვნული მნიშვნელობის კოდექსი, რომელიც ბევრ საკითხს აწესრიგებს. პირველი, მინდა, გამოვყო „გირჩის“ მავნებლური ე.წ. ინიციატივა, რომლის შედეგადაც ბევრი ახალგაზრდა შეცდა და არასწორ გზაზე დადგა. ჩვენ ამით დავასრულეთ „გირჩის“ მავნებლობა. ეს ერთი საკითხი მინდა, გამოვყო; ასევე, მთელი რიგი საკითხები მოწესრიგდა და მთელი რიგი გარანტიები ჩაიდო როგორც ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების, ასევე, ზოგადად, წვევამდელებისთვისაც.**

**სხვადასხვა უწყებიდან მოგვყავს წვევამდელები და მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში მოხდება გაწვევა. შევიმუშავეთ ეფექტური კურსები. მინიმალური იქნება ექვსთვიანი კურსი. ასევე, არის რვა და 12-თვიანი კურსები, იმის მიხედვით, ვის როგორი გეგმები აქვს და სამომავლო კარიერა როგორ უნდა, რომ დაგეგმოს. ასე რომ, წვევამდელები, მინიმუმ, ექვს თვეს გაივლიან ჯარში, თავდაცვის სამინისტროში“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ახალგაზრდებისთვის ასევე მნიშვნელოვანია კოდექსით გათვალისწინებული ახალი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, სტუდენტს შეეძლება, ჩაერთოს პროცესში. კერძოდ, წლის განმავლობაში ერთი თვე დაჰყოს სამხედრო ბაზაზე და გაიაროს საბაზისო თეორიული და პრაქტიკული მომზადება.

**„ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტს შეეძლება, რომ ჯარში დაჰყოს, ჯამში, ოთხი თვე, ამის შემდეგ ჩაეთვლება ნამსახურებად და მიიღებს სამხედრო მოწმობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა. რაც მთავარია, ამ კოდექსით შეიქმნება რეზერვის მყარი საფუძველი. ჩვენი გათვლებით, სულ რაღაც სამოთხ ყოველწლიურად, წელიწადში მოვამზადებთ ცხრა-ათ ათას წვევამდელს, რაც ძალიან დიდი შედეგი იქნება და ათწლიან პერსპექტივაში 100 000 ახალგაზრდა გვეყოლება მომზადებული, რომლებიც ჩაირიცხებიან ქვეყნის რეზერვში. ეს აძლიერებს რეზერვის სისტემას და ეს არის ეროვნული მნიშვნელობის ინიციატივები. კიდევ ერთხელ მადლობა პარლამენტს, სამინისტროს, ვინც ჩართული იყო ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნაში“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## კახეთში დაზარალებული მევენახეები ყოველ დაზიანებულ ჰექტარზე 3 500 ლარის დახმარებას მიიღებენ

როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, სახელმწიფო უკვე იბარებს დაზიანებულ ყურძენს, თუმცა, ამის მიუხედავად, გადაწყდა მევენახეებისთვის დახმარების გამოყოფა, რაც მათ დაზიანებული ვენახის აღდგენაში დაეხმარება.

**„მოგეხსენებათ, კახეთის რეგიონში ახლა ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს რთველი. მე პირადად მოვინახულე, ადგილზე ჩავედი და ვითარება არის ძალიან კარგი. მაქსიმალურად ვეხმარებით ჩვენს ხალხს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ მევენახეს დაესეტყვა ათასობით ჰექტარი ვენახი, განადგურდა მათი მოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ ვთქვით,**



**ჩვენ ამ დაზიანებულ ყურძენს ჩავიბარებთ და ჩავიბარეთ კიდევაც, უკვე დაწყებულია პროცესი, 20 მილიონი ლარის ღირებულების დაზიანებული, დასეტყვილი ყურძენი უკვე ჩაბარებული გვაქვს, ამის მიუხედავად, ვინაიდან მათ ზიანი მიადგათ, გადავწყვიტეთ, როგორც ორი წლის წინ გავაკეთეთ, ახლაც გვინდა, დავეხმაროთ დაზარალებულ მევენახეებს და დაზიანებულ ერთ ჰექტარზე 3 500 ლარი გამოვყოთ დახმარების სახით.**

## შიდა და გარე მტრების გაფრთხილება!!!

**მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი მტრული ძალები, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ მათი მხარდამჭერები, რომ ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ არეულობას ქვეყანაში. არ დავუშვებთ, რომ ასეთმა დესტრუქციულმა ძალებმა კიდევ ერთხელ, ხელმეორედ დაანგრიონ ჩვენი ქვეყანა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, შემაშფოთებელია ფაქტი, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში ტრენინგების ჩატარება შენიღბულია იმით, თითქოს ტრენინგებს უტარებენ კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, ამ დროს კი პირდაპირ არის მოწოდება, როგორ უნდა მოახდინონ რევოლუცია და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა.

**„საზოგადოებამ ყურადღებით მოისმინა სუს-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და კონკრეტული მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, როგორ მზადდება არეულობა ქვეყანაში. იცით, რომ რამდენიმე ხნის წინ ვაცნობეთ საზოგადოებას ამის თაობაზე და გავუმხილეთ ის გეგმები და ჩანაფიქრი, რომელიც აქვს ჩვენს დესტრუქციულ ძალებს.**

**შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები ჩამოდიან ქვეყანაში, აქ მართავენ ტრენინგებს. ამ ხალხმა ალბათ ვერაფერი ისწავლა, ანალიზს ვერ უკეთებენ. ფაქტია, უკვე ამდენი წელი გავიდა და ისევ ჩარჩენილი არიან წარსულში. მათ ჰგონიათ, რომ ახლა არის 2003 წელი, ახლა არის 2023 წელი და ჩვენ ხელისუფლებაში ვართ 11 წელზე მეტია. ჩვენ არ დავუშვებთ ასეთი არარაობების, დესტრუქციული რადიკალური ძალების მიერ არავითარ არეულობას და დესტაბილიზაციას ქვეყანაში. მინდა, გითხრათ, რომ დღეს სახელმწიფო არის ძლიერი და მტკიცედ დგას თავის სიმაღლეზე.**

**მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო ეს ადამიანები, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი მტრული ძალები, ასევე მათი მხარდამჭერები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომ ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ არეულობას ქვეყანაში. არ დავუშვებთ, რომ ასეთმა დესტრუქციულმა ძალებმა კიდევ ერთხელ, ხელმეორედ დაანგრიონ ქვეყანა. ჩვენ გამოვიარეთ არაერთი კრიზისი 90-იანი წლებიდან მოყოლებული, იქნებოდა ეს სამოქალაქო არეულობა, ომები თუ უამრავი დესტაბილიზაცია. ეს არის ერთადერთი უწყვეტი პერიოდი მშვიდობისა და სტაბილურობის, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ მოიტანა ქვეყანაში. ჩვენ კარგად ვიცით, რა არის მათი მიზანი და გეგმები.**

**მათი მიზანია ძალადობა, არეულობა, დესტაბილიზაცია. მათ არ მოსწონთ ის წარმატებები და ის კეთილდღეობა, რომელიც ქვეყანაში გვაქვს, არ მოსწონთ, რომ ქვეყანაში შევინარჩუნეთ მშვიდობა და სტაბილურობა. მათი სურვილია ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობა და ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა. ეს იყო მათი თავდაპირველი მიზანი და დღესაც რჩება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მათ მიზნად. ამიტომ, ეს განცხადებები, რომლებიც ჩვენ და სუს-მა გავავრცელეთ, ეს არის პრევენციული ხასიათის, გამაფრთხილებელი განცხადებები კონკრეტული მტკიცებულებების სახით.**

**ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა, მოვუწოდო ყველას, რომ მაქსიმალური გონიერება გამოიჩინონ. ნუ მისცემენ უფლებას ასეთ დესტრუქციულ ძალებს, რომ გამოაყენებინონ თავი. კარგად გვახსოვს მარტის მოვლენები, როგორ გამოიყენეს სტუდენტები და შემდეგ როგორ მიატოვეს. რა თქმა უნდა, ასეც მოხდება. როგორ ასროლინეს „მოლოტოვის კოქტეილები“ პოლიციელებისთვის.**

**ეს ყველაფერი არის მათი დაგეგმილი ბინძური ანტისახელმწიფოებრივი გეგმები. ჩვენ ამას შევეწინააღმდეგებით და ამას არ დავუშვებთ. ყველა იქნება მაქსიმალური სიმკაცრით დასჯილი, ვინც ამ ანტისახელმწიფოებრივ გეგმებს მოიყვანს მოქმედებაში“!**

## USAID-ის ადგილობრივი ოფისისგან გამჭვირვალე განმარტებებს მოვითხოვთ!

**მინდა, გამოვთქვა იმედი, რომ სათანადო, გამჭვირვალე ახსნა-განმარტებას მოვისმენთ ჩვენ და საზოგადოება USAID-ის ადგილობრივი ოფისიდან,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სამწუხაროა ის, რაც დღეს USAID-თან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

**„სამწუხაროდ, დაფიქსირდა, რომ მათი მოწვევით და დაფინანსებით იყვნენ ჩამოსული ეს ადამიანები. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხარო ფაქტია. დაველოდებით მათ ოფიციალურ განმარტებებს. USAID-თან ჩვენ გვაქვს მრავალწლიანი თანამშრომლობა არაერთი მიმართულებით, ამიტომ სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტები ხდება“,** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## აშშ-ის საელჩო: ჩვენი პროექტის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდებები მცდარია

**ჩვენი ერთ-ერთი პროექტის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდებები მცდარია და არსებითად არასწორად ასახავს საქართველოსთვის ჩვენი დახმარების მიზნებს,** – ასე ეხმიანება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სუს-ის მიერ დღეს გავრცელებულ ინფორმაციას.

**„ჩვენი ერთ-ერთი პროექტის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდებები მცდარია და არსებითად არასწორად ასახავს საქართველოსთვის ჩვენი დახმარების მიზნებს. USAID საქართველოს მოსახლეობას 1992 წლიდან უჭერს მხარს. როგორც ყოველთვის, ეს მხარდაჭერა გამჭვირვალეა და მივესალმებით ნებისმიერ შესაძლებლობას, განვიხილოთ ყველა შეშფოთება, რომელიც მთავრობას შეიძლება ჰქონდეს.**

**მოქალაქეების უფლება, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი და მისწრაფებები ნებისმიერი დემოკრატიის საფუძველი და ის ღირებულებაა, რომელსაც ჩვენ, ორივე ქვეყანა ვიზიარებთ. ორ წელზე მეტია, USAID-ი თანამშრომლობს CANVAS-თან, რომ დაეხმაროს ადამიანებს ხმა აიმაღლონ იმ საკითხებზე, რომელიც მათი ოჯახებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. CANVAS-თან თანამშრომლობით ტრენინგები ჩაუტარდათ დედებს, რომლებიც ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის გაუმჯობესებას ითხოვენ და იმ პირებს, რომლებიც ხანდაზმული მოქალაქეების უფლებებს უწევენ ადვოკატირებას.**

**მიუხედავად დაუსაბუთებელი თავდასხმებისა, კვლავაც მხარს დავუჭერთ იმ ქართულ ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან ხალხს, დაიცვან მათ მიერ განსაზღვრული და დამსახურებული მომავალი და მათთვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები“,** – აღნიშნულია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# დირექტორი მელაძე 20 წელიწადია, გაყიდული, თავხედი აგენტი ყოფილა!



**„კანვასის“ წევრები მზად არიან, დაკითხვის ოქმები, რომლებიც სახელმწიფომ გაასაიდუმლოვა, თვითონ გამოაქვეყნონ, თუ ამას სუს-ი არ გამოაქვეყნებს,** – ამის შესახებ „კანვას – საქართველოს“ დირექტორმა, **გიორგი მელაძემ** განაცხადა.

მისივე თქმით, გაუგებარია, თუ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაკითხა, რაღაც ცუდს აკეთებდნენ, მაშინ რატომ გაუშვეს ისინი ქვეყნიდან.

ამასთან, გიორგი მელაძემ განმარტა, რა არის ორგანიზაციის მთავარი საქმე.

**„ჩვენ 20 წელია, ვიცნობთ ერთმანეთს, პერიოდულად ვხვდებით და დღეს ჩამოსვლის მიზანი იყო არაძალადობრივი სამოქალაქო კამპანიების შესახებ ლექციების ჩატარება. ეს არის ჩვენი ორგანიზაციის მთავარი საქმე, ეს არის, რაც ვიცით, რასაც ვაკეთებთ, რის შესახებაც ვწერთ და ვკითხულობთ. ძალიან დიდი მადლობა ამხელა ყურადღებისთვის, რომელიც სახელმწიფომ გამოიჩინა და ამის შესახებ იმდენ ადამიანს გააგებინა, რამდენსაც ჩვენ ვერ გავაგებინებდით. მართლა მგონია, რაღაცნაირად მოინდომეს, რომ პოპულარული ყოფილიყო.**

**რაც შეეხება იმას, რომ რაღაცაში ბრალს სდებენ – ვერ ვხვდები, რაღაც ცუდს თუ აკეთებდნენ, მაშინ რატომ გაუშვეს ამ ქვეყნიდან? თვითონ გაუშვეს ხომ? თუ გაუშვეს, კუდში რატომ მიადევნეს სიტყვა? ამიტომ, „კანვასის“ წევრები მზად არიან, საიდუმლოდ შენახული დაკითხვის ოქმები, რომლებიც სახელმწიფომ გაასაიდუმლოვა, თვითონ გამოაქვეყნონ, თუ სუს-ი არ გამოაქვეყნებს.**

**რასაც სუს-ი აკეთებს, ეს არის ვითომ მასალის გამოქვეყნება. როგორც მითხრეს, ბევრი ჭრა აქვს. ეს მასალა „იუთუბზე“ გვაქვს თავიდან ბოლომდე ატვირთული. შემიძლია, ლინკები მოგცეთ, შეხვიდეთ და ნახოთ. ნებისმიერი დაჭრილი ინფორმაცია არასწორ წარმოდგენას შეუქმნის ადამიანს, რომელსაც შეიძლება, ცოდნა არ ჰქონდეს. სუს-ის მიზანია, გააყალბოს ისტორია. რეალური ისტორია რაც არის, ეს არის ღია ისტორია. სახელმწიფო გონს თუ ვერ მოეგება დროულად და იმხელა რეპრესიის ფორმას მიმართავს, რაც მის თავხედურ წარმოდგენებში არანაირი ფარგლებით არ არის შეზღუდული, მაშინ თვითონ არის განწირული. ჩვენ გვინდა არაძალადობრივი კომუნიკაცია იყოს ამომრჩეველსა და არჩეულ პოლიტიკოსებს შორის. რამდენიმე პრინციპია – დისციპლინა, ერთიანობა და არაძალადობა. როგორ, რანაირად – ეს ლექციის საგანია და ამას ღიად გავაკეთებთ. მთავრობამ არ უნდა დათხაროს მომიტინგეებს თვალები, მომიტინგეებმა მშვიდობიანად უნდა ქნას ყველაფერი. ამაზეა საუბარი, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა, ასევე, როგორ დაიცვან თავი მოქალაქეებმა, როდესაც სახელმწიფო პროვოცირებას ახდენს. კულტურის დარგში მოღვაწეებს ეხებათ, რადგან მინისტრი ჰყავთ, რომელიც არ მოსწონთ და ყოველდღე მიტინგებს უტარებენ“**, – განაცხადა გიორგი მელაძემ.

# ირაკლი ღარიბაშვილი კენტერბერის მთავარეპისკოპოს ჯასტინ უელბის შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კენტერბერის მთავარეპისკოპოსს, ჯასტინ უელბის შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ურთიერთობები.

ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა სრულად არის ერთგული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიმართ.

შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას. კენტერბერის მთავარეპისკოპოსი ქვეყანაში რეგიონული ვიზიტის ფარგლებში იმყოფება, რომლის მიზანია მშვიდობის მხარდაჭერა.

შეხვედრას საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი, ინგლისის ეკლესიის ეროვნული მრჩეველი ეკუმენიკურ საკითხებში ჯერემი მორისი, ინგლისის ეკლესიის მშვიდობის დესპანი ჯეიმს მეგორანი, ხოლო საქართველოს მხრიდან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდნენ.

# ირაკლი კობახიძე: 2013 წლიდან გადავედით საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ექსკლუზიურად ეკუთვნის მთავრობას



**2013 წლიდან, რეალურად, გადავედით საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ექსკლუზიურად ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობას და პრეზიდენტი საერთოდ არ არის ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში, არავითარი ფორმით,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, სადაც სალომე ზურაბიშვილის საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვა მიმდინარეობდა. მისივე თქმით, ეს იყო მთავარი ცვლილება, რაც 2013 წლიდან განხორციელდა.

**„ასევე, შეიცვალა პრეზიდენტის სტატუსთან დაკავშირებული ჩანაწერი. ადრე თუ ეწერა, რომ პრეზიდენტი იყო უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, მაქსიმალურად შეიკვეცა ამ სტატუსის შინაარსიც და ჩაიწერა, რომ პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“**, – განაცხადა კობახიძემ.

**„იმისათვის, რომ ზედმეტი ინტერპრეტაციები ყოფილიყო თავიდან აცილებული, ყველაზე სუსტი ჩანაწერი იქნა შეტანილი კონსტიტუციის შესაბამის მუხლში, დღევანდელ 59-ე მუხლში და მხოლოდ და მხოლოდ ის წერია, რომ პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში და არც წარმომადგენელია და არც, მით უმეტეს, უმაღლესი წარმომადგენელი. მხოლოდ ასე განისაზღვრა პრეზიდენტის წარმომადგენლობითი სტატუსი. შემდეგ მაქსიმალურად დაზუსტდა ჩანაწერები, რომლებიც უკავშირდება უკვე უფლებამოსილების განხორციელებას, მაგრამ რომც არ დაზუსტებულიყო, ისედაც ყველაფერი უნდა ყოფილიყო ნათელი, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკებში და მონარქიებში მონარქებმა და პრეზიდენტებმა იციან, რომ ისინი არ შეიძლება, ჩაეჭრან მთავრობას არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. ისეთი ზუსტი ჩანაწერები, როგორიც გვხვდება საქართველოს კონსტიტუციაში, არ გვხვდება არც გერმანიის, არც ესპანეთის კონსტიტუციებში, მაგრამ გერმანიის პრეზიდენტმა იცის, რომ მისი პრეროგატივა არ არის, ჩაეჭრას მთავრობას საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელებაში. იგივე ეხება ესპანეთის მეფეს. ესპანეთის მეფეს კონსტიტუციაში უწერია, რომ ის არის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, მაგრამ მეფემ იცის, რომ ეს არის საპარლამენტო მონარქია, შესაბამისად, მთავრობა ახორციელებს აქაც საგარეო პოლიტიკას და არა – მეფე და მონარქი“**, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

# თამარ ჩუგოშვილი: პრეზიდენტიც და ჩვენც ვმოქმედებთ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ამიტომ სხდომაზე არდასწრება პრეზიდენტის მხრიდან არანაირად არ არის უპატივცემულობის გამოხატულება

**პრეზიდენტისგან გვაქვს სრული ნდობა, წარმოვადგინოთ მისი ინტერესები საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, წარმოვადგენთ საქმის არა მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, არამედ ინფორმაციას ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა, თამარ ჩუგოშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, სადაც სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას განიხილავდნენ.

ამასთან, როგორც ჩუგოშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტიც და მისი წარმომადგენლებიც მოქმედებენ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ამიტომ სხდომაზე არდასწრება პრეზიდენტის მხრიდან არანაირად არ არის უპატივცემულობის გამოხატულება.





**„ნამდვილად ვადასტურებთ, რომ ჩვენ ვართ სრულად ინფორმირებული ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მითითებულია წარდგინებაში და იმ საქმეებში, რა საქმეებიც არის წარდგინებაში. ჩვენ გვაქვს პირადად პრეზიდენტის მხრიდან არა მხოლოდ სრული ინფორმაცია, არამედ, როგორც მან თავად საჯაროდ განაცხადა, სრული ნდობა, წარმოვადგინოთ მისი ინტერესები საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. ამ შემთხვევაში პრეზიდენტიც და ჩვენც ვმოქმედებთ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და ვფიქრობთ, ასევე იმოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.**

იხ. 4 გვ.

# ნუ ვჩაგრავთ ერთმანეთს!



## რა ვქნა, რომ ცუდიც მახსენდება!

**სახელმწიფო კი არა, ოჯახი რომ ოჯახია, იქ ვეკითხებით ერთმანეთს საქმისთვის რა სჯობს, როგორ მოვიქცეთ, საით წავიდეთ და ვის რა ვუთხრათ, ახლად ფეხზე დამდგარ კვიცებივით დედის წინ არ დავხტუნავთ. და თუ ასე არ არის, მაშინ, იმ ოჯახს ფასი არა აქვს არც სხვათა და არც საკუთარი წევრების თვალში.**

ქალბატონი პრეზიდენტის გაჯიუტებული ბავშვივით უცნაური ქცევები გამკვირვებია. მისგან ამას ნამდვილად არ ველოდი. მისი ამომრჩეველთაგან ერთ-ერთი მეც ვიყავი, საჯაროდაც გამოვთქვი მისდამი პატივისცემა. ერთი წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი სალომეს საქართველოსადმი ერთგულებაში, ის ხომ მამულის სიყვარულით გულდამწვართა შორის აღიზარდა ლევილში, პარიზში. მერე, დიპლომატიის მიმართულებით მიიღო განათლება ევროპაში და ამ საქმის მსახურმა, არც თუ ურიგო სახელი და ავტორიტეტი დაიმსახურა კოლეგებში. რადგანაც ჩვენი ქვეყანა საუკუნეებია უკვე ევროპისაკენ მიილტვის და დღევანდელ პოლიტიკურ დღის წესრიგშიც ჩვენს მთავრობას, უპირველესად ევროკავშირში გაერთიანება უწერია, ზედგამოჭრილად მივიჩნიე ქალბატონი სალომეს პრეზიდენტად არჩევა.

როგორ წარმოვიდგენდით, მას თუ ერთადერთი და აუცილებელი კანონის - კონსტიტუციისადმი პატივისცემა და მორჩილება შეეშლებოდა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც კონსტიტუციაში ჩაუხედავი იყო (წარმოუდგენელია!)... არაფერი მესმის, რა ჰქვია ამას – სეპარატიზმი? ანდა, ეს უკვე გახმაურებული სიტუაცია ხომ ყველას – ევროპასაც და ამერიკასაც მისწვდა საინფორმაციო წყაროების საშუალებით, რას იტყვიან იმ სახელმწიფოს მოღვაწეები ჩვენს ქვეყანაზე და მთავრობაზე, როდესაც თვითნებურად, საქართველოს სახელით წარუდგება მათ ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტი და ამ დროს მასპინძლებმა მშვენივრად იციან სტუმრის არალეგიტიმურობა. ჩვენ, ჩვენი მთავრობის ამომრჩეველმა ხალხმა რა ვიფიქროთ ამ საკითხზე – ესე იგი, პრეზიდენტს სურს, რომ ავტორიტეტი გამოაცალოს ჩვენს მთავრობას და ნუთუ გაუგებარია, რომ აქ მხოლოდ პიროვნებები, მთავრობის წევრები კი არ კნინდებიან, არამედ ჩვენი ქვეყანა კარგავს პატივისცემას და ავტორიტეტს. არა მგონია ვინმეს არ ესმოდეს ასეთი დამოკიდებულება კეთილად რომ არ წაადგება საქართველოს, ხალხს, თუნდაც ოპოზიციას და რაც მთავარია – არც ქვეყნის ევროპულ მომავალს!

არა ბატონებო, ყველას ყველაფერი კარგად ესმის. სეპარატიზმი, ქვეყნის მმართველ ძალებში გაუგებრობა, ხალხში არეულობა ხომ ვიცით ვისაც სურს ეს – საქართველოს მტრებს, დიახ, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტრებს! და არ არის ძნელად გამოსაცნობი, რომ ასეთი მტრები განა გარედან მოუმრავლდა ქვეყანას, არამედ აქვე გვყავს, ციხეს შიგნიდან ტეხავენ და არბევენ, ვინ არიან ეს უგუნურები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად რას არ კადრულობენ, ქვეყნის ღალატზე უარესი რა უნდა იკადრონ... ვიცნობთ მათ და ამ ამოცნობილებში ქართველი ქალები რომ აქტიურობენ – ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა! დედაკაცური წიოკი, მიდებ-მოდება, ტყუილი, ცილისწამება, უხეშობა და ბილწსიტყვაობა – ასეთ ქალებზე საუბარი საქართველოს ისტორიაში დღემდე არ ყოფილა. ნუთუ გვყავდნენ ასეთი წინაპრები? ისტორია ვერ იხსენებს ასეთებს. დღეს კი, გვაქვს „ბედნიერება“ ქართველ ქალთა კდემამოსილების პორტრეტის შელახვისა. ახალი და მეტად არაკეთილშობილი სახეებით შეავსეს ოპოზიციონერმა ქალებმა ჩვენი ისტორია! სამარცხვინოა და მათი ზნეობისა და ქცევების შემყურეს, მრცხვენია კიდეც, ნამდვილად!

ისევ ქალბატონ პრეზიდენტს დავუბრუნდები და გაკვირვებული კვლავ ვიკითხავ, – რატომ მოხდა ასე, მთავრობისა და მთავრობის პატივისცემით ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი რატომ გაგვიუცხოვდა. გაგვიუცხოვდა და როგორ მერე, რადიკალებისაკენ გაუხვია! მენანება ეს განათლებული ქალბატონი. მან კარგად დაიწყო და ამ ბოლო დროს, რა მოუვიდა?! ვეძებ მიზეზს და მინდა გავარკვიო. ნუთუ არსებობს ანგარიშგასაწევი მიზეზი?

**ქართველ ხალხს ბევრი თავის მოსაწონებელი თვისებები აქვს, ამის ჩამოთვლას აქ არ ვაპირებ. ვამაყობ ქართველობით და ბევრი ჩვენგანის მსგავსად ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ერი და ჩემი სამშობლო! მაგრამ ჩვენი ხალხის კარგ თვისებებთან ერთად, რა ვქნა და, ცუდიც მახსენდება! არ მახსოვს რა დროს და როდის, თუმცა, ის კი კარგად მახსოვს, ბევრჯერ რომ მითქვამს: ჩემს ცხოვრებაში სხვადასხვა ერის ბევრ წარმომადგენელთან მქონია ურთიერთობა, ბევრი რამ გამხარებია, ბევრი რამ მწყენია, დაჩაგვრით კი, ჩემი ქართველის გარდა, არასოდეს დავუჩაგრივარ არავის!**

**„ქართულ ოცნებას“ ქალბატონი სალომე და ბევრი მისი მსგავსნი, კიდევ უკეთესნი ჭკუით და გონებით, არავისთვის არ უნდა დაეთმო. დიპლომატია ოჯახის წევრებთან არის საჭირო, თორემ – მთავრობაში? სამწუხაროდ, ასე ვფიქრობ და რა ვქნა!**



**გულნარა სტურუა**

## თამარ ჩუგოშვილი: პრეზიდენტიც და ჩვენც ვმოქმედებთ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ამიტომ სხდომაზე არდასწრება პრეზიდენტის მხრიდან არანაირად არ არის უპატივცემულობის გამოხატულება

(მესამე გვერდიდან)

**ამიტომ ეს მისი მხრიდან არანაირად არ არის უპატივცემულობის გამოხატულება, ასე არ უნდა იქნას განმარტებული. ასე განმარტავს პარლამენტი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ასე არ უნდა განმარტოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ვინაიდან პრეზიდენტი მოქმედებს კანონის დაცვით.**

**რაც შეეხება იმპიჩმენტის პოლიტიკურ ნაწილს, რომელიც არ ვიცით, გადავა თუ არა საქართველოს პარლამენტში, პოლიტიკურ ორგანოში, თუკი ის გადავა, პრეზიდენტი შემდგომ მიიღებს გადაწყვეტილებას, იმ პოლიტიკურ ორგანოში წარდგეს თუ არა გადაწყვეტილების მიღების დროს. რაც შეეხება სასამართლოს, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ პრეზიდენტს, გვაქვს მისი სრული ნდობა, მისგან გვაქვს პირადად სრული ინფორმაცია სამივე საქმესთან, სამივე ვიზიტთან დაკავშირებით. წარმოვადგენთ ამ საქმის არა მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, არამედ ინფორმაციას ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით“,** – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, მერაბ ტურავამ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლებს, თამარ ჩუგოშვილსა და მაია კოპალეიშვილს მიმართა: „გამიკვირდა, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დარბაზშია, რომელმაც, წესით, კარგად იცის შიდა სამზარეულო და სხდომაზე იურისტებთან ერთად არ არის წარმომადგენელი“. ამასთან, ტურავას განცხადებით, სასამართლომ თუ ჩათვალა, რომ პრეზიდენტის წარმომადგენლებმა სრულყოფილად ვერ გადმოსცეს სათქმელი, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, განჩინებით დაადგინოს პრეზიდენტის სავალდებულო გამოცხადება.

## გია ვოლსკი: ადამიანების მობილიზება როცა ხდება, რათა სახელმწიფო წეს-წყობილებას თავს დაესხან, კანონში ცვლილებაზე დაჩქარებული წესით უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება

აღნიშნული კომენტარით **ვოლსკი** შეკრებისა და მანიფესტაციების დროს დროებითი კონსტრუქციების მოწყობასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას გამოეხმაურა.

**„თითქოს აგრესია იმაში არ იყო, რომ შეშით მომიტინგეები გაეთბოთ, მაგრამ ეს შეშა შემდეგ ბარიკადებისთვის იყო გამოყენებული. გამოყენებული იყო, როგორც იარაღი და პოლიციელების მისამართით შეშის ნაჭრები ცვიოდა. სწორედ ეს არის ტრეინინგების მიზანი, დესტაბილიზაციისთვის მობილიზებულმა ჯგუფებმა უკეთ იცოდნენ, რა რისთვის არის გამოსაყენებელი. იგივე კავი, რაც შეიძლება, გამოყენებული იყოს რაღაცის შესანახად და ასაფეთქებლად. ეს ყველაფერი არის პრევენციული და შესაბამისი ზომები უნდა იყოს მიღებული. თუ ამას შიშს ეძახით, დიახაც, გვეშინია და არ გვინდა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული იყოს ისეთი ჯგუფები და სახელმწიფო ინტერესებს დაუპირისპირდნენ მაშინ, როცა მსოფლიოში ასეთი ტურბულენტური ვითარებაა. ქვეყანა არ უნდა დაზიანდეს. შიშის ხსენება ცოტა უხერხულია იმ ადამიანებისგან, ვინც შიში ქვეყნის მმართველობის სისტემურ მექანიზმად გადააქციეს“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

## საქართველოს პრეზიდენტი ბელგიაში ვერ წავიდა!

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მთავრობას ამჯერად ბელგიაში მისი ვიზიტის დაბლოკვაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ირკვევა წერილიდან, რომელიც პრეზიდენტმა ბელგიის მეფე ფილიპეს გაუგზავნა.**

**წერილის ტექსტს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს, უცვლელად გთავაზობთ:**

**„თქვენო უდიდებულესობავ!**

**გულწრფელ გულისტკივილს გამოვხატავ იმის გამო, რომ მიწევს უარის თქმა ჩემი ქვეყნისათვის როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე ღონისძიების, „ევროპალია საქართველოს“ ინაუგურაციაში თქვენთან ერთად მონაწილეობაზე. ევროპის გულში საქართველოს ევროპული კულტურისა და იდენტობის წარდგენა სწორედ იმ დროს, როდესაც წყდება ისეთი საკვანძო საკითხი, როგორიც არის ჩვენთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, ევროპელ ხალხებსა და ლიდერებს გადავცეთ ერთმნიშვნელოვანი გზავნილი, რომელიც არის ევროპულ ოჯახში ჩვენი ინტეგრაციის სურვილი.**

**თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, მერწმუნოთ, რომ გულწრფელი სურვილი მქონდა საქართველო უმაღლეს დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობებში ახალი მნიშვნელოვანი ფურცლის გადაშლისას, ისე, როგორც 2021 წლის 21 იანვარს ჩვენი შეხვედრისას შევთანხმდით.**

**სამწუხაროდ, ჩემი ნებისგან სრულიად დამოუკიდებელი ორი მიზეზი – ერთი მხრივ, მთავრობის დაუსაბუთებელი უარი ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ ჩემს წინადადებაზე, მეორე მხრივ, სწორედ 3 და 4 ოქტომბერს ჩანიშნული საკონსტიტუციო სასამართლოში ჩემი იმპიჩმენტის თაობაზე წარდგინების განხილვა – აბსოლუტურად შეუძლებელს ხდის შევასრულო ჩემი წარმომადგენლობითი მოვალეობა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე.**

**თქვენო უდიდებულესობავ, მსურს გულწრფელი ბოდიში მოვიხადო ჩემგან დამოუკიდებელი, გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო, რომლებიც, სამწუხაროდ, ბოლო წამს აუცილებელს ხდის იმ საპროტოკოლო გადაწყვეტილებების შეცვლას, რომლებზეც დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა. მეორე მხრივ, მსურს ჩემი და ქართველი ხალხის სახელით მოგახსენოთ მადლობა ევროპის ცენტრში ქართული კულტურის ესოდენ დიდი პატივით მიღებისათვის. ყველაფრის მიუხედავად, მტკიცედ მჯერა, რომ ეს მოვლენა გადაიქცევა საქართველოსა და ბელგიის სამეფოს ურთიერთობის ისტორიის განსაკუთრებულ ფურცლად.**

**იმედი მაქვს, რომ თქვენი უდიდებულესობა თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის კიდევ მრავალ წელს იღვაწებს. დიდ წარმატებას ვუსურვებ „ევროპალია საქართველოს“ და მადლობას ვუხდი თქვენს უდიდებულესობას იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც სამეფო ოჯახსა და ბელგიის მხარეს ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ორგანიზებაში შეაქვთ.**

**თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, მიიღოთ თქვენ მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემა“.**





# ილია ჭავჭავაძის გზით!

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით დაჯილდოვდა

**მიმდინარე წლის 29 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე და „ილიას ფონდის“ გამგეობის წევრები – ზურაბ ჩხაიძე, ივანე ამირხანაშვილი და უჩა შერაზადიშვილი ესტუმრნენ. ღონისძიებას, რომელიც შესავალი სიტყვით აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ ხუროძემ გახსნა, აკადემიის პრეზიდიუმის წევრები ესწრებოდნენ.**

როგორც ბატონმა ანდრო ბედუკაძემ აღნიშნა, „ილიას ფონდი“ 1998 წელს დაფუძნდა და იგი ილია ჭავჭავაძის იდეების პროპაგანდას, მის პოპულარიზაციას და განსაკუთრებული ხალხის წარმოჩენას ემსახურება. მისი ერთ-ერთი მისია ეროვნული ღირსებით დაჯილდოებული ადამიანების პატივისცემაა. აღინიშნა, რომ სწორედ როინ მეტრეველის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის დროს, მისი ძალისხმევით გადარჩა თითქმის დანგრევის პირას მისული ილიას სახლ-მუზეუმი და ფონდმა „ქართუმ“ შენობის სრული რესტავრაცია უზრუნველყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით და საქართველოს ისტორიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი დაჯილდოვდა ილია ჭავჭავაძის „დიდი მედლით“ (ოქროს მედალი შექმნილია მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ).

სამადლობელ სიტყვაში ბატონმა როინმა აღნიშნა, რომ ეს მისთვის უდიდესი დაფასებაა და ერთად უნდა გავწიოთ ჭაპანი ილიას გზით, ილიას სადიდებლად, საქართველოს გასამთლიანებლად და ასაღორძინებლად....

**ნათია ვადაჭკორია,**
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი




# შოთა რუსთაველის ბიუსტი იერუსალიმის საპატრიარქოში

**წმინდა ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის, სირიის, არაბეთის, იორდანის, გალილეის კანისა და წმინდა სიონის პატრიარქის – უწმინდესი და უნეტარესი თეოფილოს მესამის სურვილით, იერუსალიმის საპატრიარქოში შოთა რუსთაველის ბიუსტი დაიდგა.**

ბიუსტის ავტორი მოქანდაკე, ილია ჭავჭავაძის პრემია „საგურამოს“ ლაურეატი, გიორგი კიკვაძეა. შოთას ბიუსტი ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ექიმისა და ქველმოქმედის მერაბ კვიცარიძის დაფინანსებით დაიდგა. პროექტის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი კი, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი, ქართული კულტურის ამაგდარი მერაბ მიხაელი გახლავთ.

პროექტის მხარდამჭერია ქართული კულტურის დესპანი ისრაელში რობერტ ადარი. თეოფილოს მესამემ შოთას ბიუსტი, იერუსალიმის საპატრიარქოში, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, თავისთან ახლოს და ქრისტეს ქანდაკების გვერდით მოათავსა.

# კავკასიის უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მორიგი ინვესტიცია განათლებაში

**„შავი ზღვის უნივერსიტეტი“ გაიყიდა. მისი 100%-იანი წილის მფლობელები „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი კახა შენგელია და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი გია კავთელიშვილი არიან. შესაბამისი ცვლილება ბიზნეს რეესტრში უკვე აისახა.**

სამეწარმეო ამონაწერის მიხედვით, „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ 49%-იანი წილის მფლობელი კახა შენგელია გახდა, ხოლო 51%-იანი წილის მართვა გია კავთელიშვილმა გადაიბარა. უნივერსიტეტის ყოფილი მფლობელებსა და ახალ მმართველებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პარტნიორებმა შავი ზღვის უნივერსიტეტი 10 მლნ დოლარად შეიძინეს.

**„კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის და „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ახალი მფლობელი კახა შენგელია აცხადებს, რომ IBSU-ს სახელი შეუნარჩუნდება და როგორც „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, ისე განაგრძობს საქმიანობას.**

**კიდევ ერთი მაგარი უნივერსიტეტი შეემატება ქვეყანას, უფრო უკეთესი, ვიდრე იყო და უფრო მაღალი ხარისხით. ის უფრო ცნობადი გახდება, თუმცა შავი ზღვის უნივერსიტეტს არ აკლდა ცნობადობა და ხარისხი. პირველ ეტაპზე მენეჯმენტში ცვლილებები არ იგეგმება, დავაკვირდებით, როგორ წარიმართება მუშაობა. რაც შეეხება სახელწოდებას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამ სახელწოდებით დარჩება. ის უკვე ბრენდია“.**

მოამზადა
**რუსუდან ქობულიამ**

კავკასიის უნივერსიტეტი

# „მიჯაჭვული პრომეთე“

**29 სექტემბერს რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა 145-ე სეზონი გახსნა ესქილეს სპექტაკლით „მიჯაჭვული პრომეთე“, რომლის პრემიერაც 2023 წლის 5 მაისს გაიმართა.**

სპექტაკლის დაწყებამდე მისასალმებელი სიტყვით მაყურებელს მიმართა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **რობერტ სტურუამ.**

სპექტაკლის რეჟისორია **რობერტ სტურუა.**

თარგმანი **რობერტ სტურუასი** და **ნინო კანტიძისა.**

კოსტიუმების მხატვარია **ანა ნინუა.**

მუსიკალური გაფორმება **სვიმონ ჯანგულაშვილისა** და **რობერტ სტურუასი.**

ქორეოგრაფი – **კოტე ფურცელაძე.**

სექტაკლში გამოყენებულია იოჰან სებასტიან ბახის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ფრედერიკ შოპენის, გია ყანჩელისა და სხვა კომპოზიტორების მუსიკა, რომელიც უფრო მეტ ხიბლს მატებს ამ ბრწყინვალე წარმოდგენას.

მთავარმა მოქმედმა გმირებმა დიონისე – **გოგა ბარბაქაძემ** და პრომეთე – **ლევან ხურციამ** ესქილეს წარმოსახვით სამყაროს გვაზიარეს. ოკეანის ასულთა ქოროში ვიხილეთ: რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები **მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, ეკა მინდიაშვილი, ქეთი სვანიძე, ნატალია ყულოშვილი და ქეთი ხიტირი.** თითოეულმა მათგანმა „ცეცხლი დაანთო“ სცენაზე.

ღირსეულ თაობათა ცვლას ვერაფერი შეაჩერებს. რობერტ სტურუას „სულის შემძვრელმა“ სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელში, მხურვალე აპლოდისმენტები ამის დასტური გახლდათ.

**მარიკა პაპიაშვილი**





წლეულს, 15 მაისს, ჩვენს გამოჩენილ თანამემამულეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, შესანიშნავ პოეტს, მთარგმნელს, მეცნიერს, პედაგოგს, დიპლომატს და, უბრალოდ, თავისი მოვარგებული წუთისოფლით სამაგალითო პიროვნებას რაულ ჩილაჩავას დაბადებიდან 75 წელიწადი შეუსრულდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის და ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წარდგინებით, ორიოდე წლის წინათ, მას ქვეყნის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო რუსთაველის პრემია მიენიჭა.

კიდევ ერთხელ გულწრფელად ვულოცავთ აკადემიკოს რაულ ჩილაჩავას საიუბილეო წელიწადს, მისთვის ასე ძვირფასი უკრაინის და უკრაინელი ხალხის გამარჯვებას და კიევში დარჩენილი უფროსი ვაჟიშვილის, ჟურნალისტისა და ვოლონტერის უმცროსი რაულ ჩილაჩავას გადარჩენას, საყოველთაო მშვიდობას და სიკეთეს ვუსურვებთ.

დღეს გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის მარიკა ქარჩავას ექსკლუზიურ ინტერვიუს მშობლიურ სამეგრელოს თავშეფარებულ ღვაწლმოსილ პიროვნებასთან, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველ რესპონდენტთან, რაულ ჩილაჩავასთან.

**სპარტაკ ქოზულია**

## რაულ ჩილაჩავა:

# არასოდეს დანებდე განსაცდელს, არასოდეს დარჩე სხვის იმედად, არასოდეს უღალატო საკუთარ იდეალს!

**– მოგესალმებით, ბატონო რაულ. პირველ რიგში, ჩვენთვის უდიდესი პატივია თქვენთან ინტერვიუს ჩაწერა. დავიწყებ პოპულარული შეკითხვებით. სად დაიბადეთ და გაიზარდეთ? როგორი ფასეულობების მატარებელი იყო თქვენი ოჯახი?**

– დავიბადე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში, ექიმის ოჯახში, მაგრამ გავიზარდე და საშუალო სკოლა დავამთავრე სოფელ ძველ აბასთუმანში, რომელიც ჩემი დედულეთია. პაპაჩემი ანუ დედის ბაბუა მღვდელი სოლომონ ჩიხლაძე, უაღრესად განათლებული და კეთილშობილი პიროვნება, დიდი პატრიარქალური ოჯახის თავკაცი იყო. მისი რწმენიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე შინ ქრისტიანული სულისკვეთება სუფევდა, თუმცა გარშემო კომუნისტური ეპოქის გაგანია უღმერთობის ჟამი იდგა. 20-იან წლებში ბოლშევიკებმა დაანგრიეს შამადელას ეკლესია, რომლის წინამძღვარიც ბაბუა გახლდათ, თვითონ კი გააკულაკეს, წაართვეს ყველაფერი, რაც კი ებადა, ხოლო 1924 წლის აგვისტოში, ცნობილი „გამოსვლების“ დროს, როგორც „სოციალურად საშიში ელემენტი“, კინაღამ დახვრიტეს. სასწაულით გადარჩენილმა მუყაითი გარჯით გავერანებული მეურნეობა აღადგინა, ცხოველ-ფრინველი მოაშენა, ბაღ-ვენახი ჩაყარა, საკუთარ სახლში პატარა სალოცავი მოაწყო და მართლმადიდებლობას ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე. იცოცხლა კი დიდხანს – 88 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელი, დამრიგებელი, ცხოვრების გზამკვლელი. პირველად მისგან გავიგე და დავიმახსოვრე ბიბლიური მცნებები, სახარებისეული შეგონებანი, ბევრი დიდი ქართველი მწერლის გვარ-სახელი და მათი ნაწერები. ერთი სიტყვით, მე გამიმართლა, როცა ბაბუამ მშობლებს სთხოვა, ჩემი თავი აღსაზრდელად მისთვის დაეთმოთ. ბედნიერი ბავშვობა მქონდა, ბაბუას გარდა თავს დამფუსფუსებდა ბებია და დიდედა, მათი ალერსი, სითბო და ზრუნვა, მათ მიერ მომზადებული კერძების გემო მთელი ცხოვრება თან მომყვება. ბაბუას სახლში ყოფნა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მშობლებისა და და-ძმებისგან (ერთი და და ხუთი ძმა ვიყავით) გარიყვას, რადგან თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ერთად ვატარებდით.

**– ეტაპობრივად რომ აღწეროთ თქვენი განათლების პროცესი და ამასთანავე სტუდენტობის ტკბილ მოგონებებსაც შეეეხოთ.**

– ბაბუა ხედავდა, რომ მკვირცხლი და სწავლისკენ მიდრეკილი ბიჭუნა ვარ, ამიტომ სთხოვა ჩვენი სკოლის დირექტორს ლავრენტი ლატარიას პირველ კლასში ვადაზე ადრე მივეღე. მანაც ერთთვიანი გამოსაცდელი ვადით მიმიღო და როცა დარწმუნდა, რომ უფროსი ასაკის ბავშვებს არაფრით ჩამოვრჩებოდი, ჩამრიცხა. მას მერე ყველგან ასაკით უმცროსი ვიყავი – უნივერსიტეტშიც, მწერალთა კავშირშიც, სამსახურშიც, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოვაჩინე, რომ გარშემო ყველანი ჩემზე უმცროსები არიან. თუმცა ეს იყო თითქმის ნახევარი საუკუნის მერე. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე ჩავაბარე. მრავალრიცხოვან აბიტურიენტებს შორის მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც ქართულ წერაში ფრიადი მიიღო. სწორედ ამ ფრიადმა გადაწყვიტა ჩემი სტუდენტობის ბედი. მესამე კურსის სტუდენტი კიევის უნივერსიტეტში მიმავლინეს უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. თბილისშიც სტუდენტად ვრჩებოდი და უკრაინის დედაქალაქში კიდევ მთარგმნელის პროფესიას ვეუფლებოდი ბაქოდან და ერევნიდან ჩემსავით მოვლინებულ სტუდენტებთან ერთად. პარალელურად ვესწრებოდი ლექციებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. გამოცდების ჩასაბარებლად კი თბილისში მოვფრინავდი ხოლმე. ეს იყო ძალიან დაძაბული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი წლები, როცა ორ პროფესიას დავეუფლე, საჭირო გამოცდილება მივიღე, ნაცნობ-მეგობართა წრე გავიფართოვე და შემოქმედებითი საქმიანობა საკმაოდ მომზადებულმა დავიწყე.

**– მაშინ წარმოიდგენდით იმას, რომ უკრაინა თქვენი მეორე სამშობლო გახდებოდა?**

– მეორე სამშობლო არ არსებობს, მაგრამ თურმე შესაძლებელია არსებობდეს ქვეყანა, რომელიც თითქმის სამშობლოსავით გიყვარს. უკრაინა ჩემთვის სწორედ ასეთი ქვეყანა გახდა. იქ დავოჯახდი და შემეძინა სამი ვაჟიშვილი.

**– თქვენს კარიერულ წინსვლაზე რომ მოგვიყვეთ...**

– უკრაინაში გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული, იქ მიმიღეს მწერალთა კავშირში, დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გავხდი პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე... ჩემმა ზრდასრულმა ცხოვრებამ მთლიანად უკრაინაში ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან, ოჯახთან, ტოლ-მეგობრებთან, მშობლიურ მწერლობასთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია, ჩემი ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული, სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნაბიჯი უკრაინაში გადაიდგა.

**– 2005-2010 წლებში ლატვიაში უკრაინის სრულფასოვანი და საგანგებო ელჩი ბრძანდებოდით. როგორ დაიმსახურეთ იმ პერიოდში ასეთი დიდი ნდობა უკრაინის მთავრობისაგან?**

– ნდობა მაშინ უკვე დამსახურებული მქონდა, თორემ მინისტრის მოადგილედ ვინ დამნიშნავდა. ამ თანამდებობაზე მუშაობა დიდწილად დაკავშირებული იყო დიპლომატიასთან. ჩემი სამინისტრო ხომ ეროვნებებისა და მიგრაციის საკითხებს განაგებდა. ქვეყნის ხელმძღვანელობა უკვე მაშინ ხედავდა და გრძნობდა, რომ სამომავლოდ ბევრი რა სწორედ ეროვნული საკითხებისა და სამიგრაციო პოლიტიკის სწორად წარმართვაზე იქნებოდა დამოკიდებული. მე, როგორც ეროვნული უმცირესობებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების საქმეთა კურატორს, მუდმივი კონტაქტები მქონდა იმ ქვეყნების საელჩოებთან, რომლებსაც უკრაინაში საკუთარი დიასპორები ჰყავდათ. ასეთები კი მრავლად იყვნენ: პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის ჩათვლით, თუმცა ეს უკანასკნელი რუსულ მოსახლეობას უკრაინის ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობად არ მიიჩნევდა. **(ის ომიც, რომელიც პუტინმა უკრაინის ტერიტორიაზე გააჩაღა, სწორედ ამ პრობლემიდანაა ამოზრდილი).** პოსტმაიდანურმა ხელისუფლებამ, რომელსაც პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ედგა სათავეში, ძველი დიპლომატიური კადრების გადახალისება გადაწყვიტა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელჩობის ერთ-ერთ კანდიდატად მე დამასახელა. შემირჩიეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა ლატვია, სადაც ხუთი წელი ვიმსახურე და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი – არც ქვეყანა და არც საკუთარი თავი არ შემირცხვენია. 2008 წელს ლატვიაში აკრედიტებულ ელჩთა შორის საუკეთესოდ დამასახელეს და სახელმწიფოს უმაღლესი „სამი ვარსკვლავის“ ორდენით დამაჯილდოვეს. რიგაში ჩემი ცხოვრება შემოქმედებითი თვალსაზრისითაც ძალიან ინტენსიური და ბარაქიანი გამოდგა: იქ დავწერე, ვთარგმნე, შევადგინე და გამოვეცი 13 წიგნი – ლატვიურად, ქართულად, უკრაინულად.

**– თქვენი ცხოვრების თანამეგზურზე, საყვარელ მეუღლეზე რომ გვიამბოთ. როდის და რა ვითარებაში შედგა თქვენი პირველი გაცნობა, შემდგომ კი დაახლოვება.**

– ჩვენ ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით და ერთ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. ვხვდებოდით ყოველდღე – ჩვენს სართულზე, ავტობუსში, ბიბლიოთეკაში. მე უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ის კი მეოთხე კურსზე იყო, როცა დავქორწინდით. ია გახდა ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, მხარდამხარ გამოვიარეთ ბევრი ლხინი და ჭირი, ვიწვნიეთ ოთხი წლის პირმშოს ტრაგიკულად დაღუპვით გამოწვეული უსაზღვრო მწუხარებაც, მომდევნო ორი ვაჟიშვილის გაჩენით გამოწვეული სიხარულიც, გავუძელით საწუთროს ბევრ მძიმე გამოცდას და ოქროს ქორწილამდე ხუთიოდე თვეღა გვაკლდა, როცა იგი ჩვენი პატარა გურის მოგზავნილმა ანგელოზებმა იხმეს.

მე დავკარგე უერთგულესი მეგობარი, თანამოაზრე, ცხოვრების ნამდვილი მესაიდუმლე, რედაქტორი, მრჩეველი, კრიტიკოსი. ია იყო ბრწყინვალე ფილოლოგი, უკრაინული, რუსული და ფრანგული ენების უნაკლო მცოდნე და როგორც მთარგმნელს და მეცნიერს შეეძლო ბევრი რამისთვის მიეღწია, მაგრამ მან შვილების აღზრდა და ჩემი თანადგომა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია. ასე იშვიათად თუ მოიძებნება მისი ნიჭისა შესაძლებლობების ქალი. სულ მგონია, რომ ვერც მე და ვერც ჩემმა ვაჟებმა ბოლომდე ვერ დავაფასეთ მისი ასეთი უმაგალითო თავდადება, თუმცა მისი სიცოცხლის გადასარჩენად არაფერი დაგვიშურებია.

**– „მე აი ის“ დაგაწერ მკერდზე და დაგახატავ ლურჯთვალა იას“. მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მის ფოტოებზე ხშირად ამ წარწერით მოიხსენიებთ. მრავალი ლექსის ავტორი ბრძანდებით, რატომ ეს ფრაზა და არა სხვა?**

– ზემოთ ვახსენე, რომ მეუღლეს ია ერქვა და, მისი საფლავის ქვაზე ყველაფერი ისეა, როგორც თქვენს მიერ ციტირებულ ლექსშია.

**– ბატონო რაულ, საზოგადოების ერთი ნაწილი გიცნობთ, როგორც მრავალი ლექსის ავტორს, ზოგს როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი ახსენდებით, ზოგს კი როგორც მეცნიერი და დამსახურებული პროფესორი. თავად თქვენ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელ რაულს ანიჭებთ უპირატესობას?**

– დიახ, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ რამდენიმე სფეროში მომიხდა საქმიანობა და ყველგან, სადაც ვიმუშავე, ვეცადე საკუთარი სიტყვა მეთქვა. მიუხედავად ამისა, მაინც ვთვლი, რომ ჩემი უმთავრესი მოწოდება იყო და არის მხატვრული ლიტერატურა, კონკრეტულად კი პოეზია და თარგმანი. თანაც არა მარტო ქართულად, არამედ უკრაინულადაც. ჩემმა მკითხველებმა იციან, რომ მე გამოცემული მაქვს არაერთი წიგნი ამ ენაზეც.

**– 2020 წლის 31 დეკემბერს, მახსოვს, თქვენ სოციალურ ქსელებში განათავსეთ ნაძვის ხის ფოტო. ნაძვის ხე იმით იყო უნიკალური, რომ თქვენ მიერ გამოცემული როგორც საკუთარი, ასევე ქართულ-უკრაინულად ნათარგმნი წიგნებისგან შედგებოდა. თუ სწორად მახსოვს, 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის შემოქმედებითი მონაგარი 40 წიგნს შეადგენდა. მას შემდეგ დაემატა თუ არა თქვენს კრებულს ახალი ტომები?**

– ეს, რა თქმა უნდა, საახალწლო ხუმრობა იყო, თუმცა, როგორც წესი, სიმართლესაც შეიცავდა. კადრში ყველა გამოცემა ვერ ჩაეტია, მაგრამ ჩემი მთავარი წიგნები იქ ჩანს. მე მათ ვითვლიდი ასოცამდე, მერე ხელი ჩავიქნიე, აკი მთავარია, მნიშვნელობა, ხარისხი და არა რაოდენობა. ვცდილობ, უმნიშვნელო და უხარისხო წიგნები არ გამოვცე, თუმცა უდავოა, რაც არ უნდა მოინდომო, ყველა ერთნაირად მაღალი დონის ვერ იქნება. უკვე წელიწადნახევარია, საქართველოში ვარ და ამ ხნის განმავლობაში ათი საკუთარი და ნათარგმნი წიგნი გამოვეცი. გასაგები მიზეზების გამო მთავარი ადგილი აქ უკრაინის თემას უჭირავს. ჩემი საყვარელი ფინია ძაღლის სახელით დავწერე „ჩაპას წერილები მსოფლიოს ძაღ-

ლებს და ადამიანებს“, ასევე „ღია წერილები ჩემს შვილიშვილს ევას“, ვთარგმნე და შევადგინე უკრაინელი პოეტების ლექსთა ორენოვანი კრებული „ომის ლექსიკონი“, რომლებშიც სხვადასხვა ხერხებით გადმოცემულია უკრაინაში რუსული აგრესიის ბარბაროსული არსი. ვთარგმნე ასევე ახალგაზრდა უკრაინელი პოეტის მარკიან კამიშის პოსტმოდერნისტული რომანი „ოფორმლიანდია ანუ გასეირნება ზონაში“, რომელიც ავარიის შემდგომ ჩორნობილის აესს ეძღვნება. ეს-ესაა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა უპირველესი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს ლექსთა ჩემეული თარგმანების ორენოვანი ალბომი „ფიქრნო ჩემნო“ ჩემივე ვრცელი წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ავტორის გრაფიკული ნამუშევრებით. განსაკუთრებით მინდა შევნიშნო, რომ ესაა შევჩენკოს პირველი ქართული გამოცემა, შესრულებული უშუალოდ ორიგინალიდან. აქამდე მას ძირითადად თარგმნიდნენ ან პწკარედებიდან ან რუსულიდან. მაქვს კიდევ რამდენიმე ახალი წიგნი, არანაკლებ საინტერესო, მაგრამ ყველა მათგანის აქ ჩამოთვლა ბევრ ადგილს წაიღებდა.

**– ბატონო რაულ, თქვენ ბრძანდებით საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს, უკრაინის, ლატვიის მწერალთა კავშირების, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირისა და მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. თუ შეიძლება, ცოტა რომ წამეხმაროთ და ჯილდოები, პრემიები თავად ჩამოგვითვალოთ. მაგალითად, ამ ბოლო დროს თქვენ საქართველოს უმაღლესი ჯილდო, რუსთაველის პრემია მოგენიჭათ.**

– რა თქმა უნდა, ქართველი მწერლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყო ეროვნული აკადემია და რუსთაველის პრემიაა. ზემოთ ჩამოთვლილებს დავამატებდი უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებას, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგს, ევროპის ხელოვნებათა და აკადემიის ფრანც კაფკას სახელობის ოქროს მედალს და კიდევ არაერთ საერთაშორისო პრემიას, რომლებიც ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის მანძილზე მიმიღია.

თითქოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამდევი ულევი დარდი და სევდაა. უკრაინაში განვითარებული საომარი ვითარება მორიგი გამოწვევაა თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის. გაგვიზიარეთ 24 თებერვლის შემდეგ გადატანილი დღეები და ემოციები.

ამის თაობაზე ქართულ მედიაში ბევრჯერ მოვყევი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველაფერი, რაც მებადა, კიევში დამრჩა. პირველ რიგში, უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც, როგორც ვოლონტერი და ჟურნალისტი, იბრძვის უკრაინის გამარჯვებისთვის.

**– იქნებ რამდენიმე მოკლე შეკითხვაზეც მიპასუხოთ:**

**– 3 წიგნი, რომლის წაკითხვასაც ურჩევდით ახალგაზრდებს.**

– იმის გათვალისწინებით, რომ ისინი იცნობენ ქართულ კლასიკას (აქ სამი წიგნით ვერ შემოვიფარგლებით), მათ ვურჩევდი აუცილებლად წაიკითხონ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფაუსტი“, ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“.

**– ბავშვობაში რომ შეგეძლოთ დაბრუნება, რას ეტყოდით პატარა რაულს?**

– არასოდეს დანებდე განსაცდელს, არასოდეს დარჩე სხვის იმედად, არასოდეს უღალატო საკუთარ იდეალს!

**– რამეს შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?**

– რომ შემეძლოს, დავიბრუნებდი სიჭაბუკის დროინდელ ენერგიას, რათა მოვასწრო ჯერ კიდევ აუხდენელი ოცნებების ასრულება.

**– თქვენი აზრით წარმატება – ეს გამართლებაა თუ მუდმივი მუშაობაა საკუთარ თავზე?**



– ორივე ერთად.

**– რას უსურვებდით დღევანდელ თაობას?**

– მეტ განათლებას და მეტ პატრიოტიზმს!

ესაუბრა
**მარიკა ქარჩავა**

# თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სადაგი დღეები



**თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო, რასთან დაკავშირებითაც რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. წლევანდელი 2 ოქტომბერი განსაკუთრებულია, რადგან პირველკურსელთა ნაკადი, რომელმაც სამხატვრო აკადემიაში 2023 წელს ჩააბარა, რეფორმის შესაბამისი ახალი წესით ჩატარებული შემოქმედებითი კონკურსის შედეგად ჩაირიცხა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გამართულ ღონისძიებებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

**„კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ფესტივალ „არტისტერიუმ 16“-ის გამოფენა – „არანაირი კომპრომისი!“ გამოფენის მიზანია ქალაქის დაქსაქსულ და ამორფულ ცხოვრებაში შექცევადობის კანონზომიერების აღმოჩენა.**

**ასევე კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამართული ფესტივალი „აუთე შ ფწმფ 2023“ დაიხურა შოუთი „ხვალინდელი დღე ჯერ არ დამდგარა“. წლევანდელი ფესტივალის მონაწილე ხელოვანებმა, კურატორებმა და მკვლევრებმა წარმოადგინეს პროექტები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი, მისტიკური ან შოკის მომგვრელია, რადგან ისინი ტრადიციულ კონტექსტს სწყდება და ჩნდება საჯარო სივრცეებში: მიტოვებულ შენობებში, შემთხვევით ადგილებსა თუ საგანმანათლებლო ინსტიტუციებში.**

**ამასთანავე, დაიხურა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ფრანკფურტის შტედელის ვიზუალური სკოლის სტუდენტების ჯგუფური გამოფენაც – „ქება სიმასხრისა: გატაცების, ჟინის და გაუჩინარების 22 იგავი“. მოეწყო სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ქანდაკების მიმართულების სტუდენტთა გამოფენა – „ის, რასაც შეიგრძნობ“.**

საღამოს გაიმართა სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მოდის დიზაინის მიმართულების სტუდენტების ღონისძიება. მონაწილეებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი პროექტი საკურსო და სადიპლომო ნამუშევრებით.

კოსტიუმებით გათამაშდა სასცენო სიუჟეტები/პერფორმანსი. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნამუშევრებში გათვალისწინებულია თანამედროვე მოდის მნიშვნელოვანი ტენდენციები, წარმოჩენილია სიახლეები და ტრადიციული ტექნოლოგიები, სასცენო სიუჟეტები და სხვ. პროექტი მოამზადეს მოდის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

ახალი მოდელით გამოცხადებული შემოქმედებითი კონკურსის გათვალისწინებით, მიმდინარე წელს სამხატვრო აკადემიაში ჩაბარების სურვილი 854-მა აბიტურიენტმა გამოთქვა, რაც ბოლო წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აკადემიაში ჩაირიცხა 309 აბიტურიენტი და პირველკურსელთათვის განკუთვნილი ვაკანტური ადგილები სრულად შეივსო.

**ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: არქიტექტურის ფაკულტეტი: არქიტექტურა – 40, გარემოს დიზაინი – 15, ინტერიერის დიზაინი – 15. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი: დაზგური ფერწერა – 25, ქანდაკება – 10, კინო-ტელემხატვრობა – 12, თეატრის მხატვრობა – 10, პლაკატის დიზაინი – 10, ანიმაცია – 10, დაზგური გრაფიკა – 10, წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია – 10“.**

# ქართველები მიდიან, უცხოელები შემოდიან!



## გაამართლებს თუ არა დასაქმების მიზნით უცხოელების საქართველოში შემოყვანა?

**კერძო ბიზნესის ერთ ნაწილს დასაქმების მიზნით უცხო ქვეყნის მოქალაქეები უკვე შემოჰყავს, სხვები კი იგივე ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებიან.**

რა თქმა უნდა, ცვლილების ავანგარდში სამშენებლო სექტორია, რომელიც კადრების მწვავე დეფიციტზე საუბრობს და პრობლემის რამდენიმე ძირითად მიზეზს ასახელებს.

„მონოლით ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ამბობს, რომ მუშახელის უცხოეთიდან შემოყვანის გადაწყვეტილება თავად ჯერ არ მიუღიათ, რადგან პროცესი საკმაოდ რთულია, თუმცა მდგომარეობა თუკი არ გამოსწორდება სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავენ.

**„სექტორმა სცადა სახელფასო ანაზღაურების ზრდით დაებალანსებინა ეს პრობლემა, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო. კადრების დეფიციტი ძალიან მწვავეა და მწვავედ გვეხება თითოეულ კომპანიას. რაც შეეხება უცხოეთიდან კადრების შემოყვანას, ამაზე იყო საუბარი. რამდენიმე კომპანიამ სცადა ეს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სპეციფიკურია სამშენებლო სფერო, ეს ასეთი მარტივი არ არის. საუბარია იმაზე, რომ კანონმდებლობასთან არის წინააღდეგობები.**

**მათთვის განსაკუთრებული დაზღვევის მექანიზმები მოქმედებს სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე პერსონალისთვის. რიგ შემთხვევებში, საჭიროა მოქალაქეობა ან ცხოვრების უფლების მოწმობა, ამიტომ საკმაოდ რთული პროცესია.**

**ჯერჯერობით ჩვენი კომპანია ამ მიმართულებით არ წასულა, თუმცა ვფიქრობ, ეს სიტუაცია თუ გაგრძელდა მომავალი წლიდან, უკვე ვიფიქრებთ კადრების უცხოეთიდან შემოყვანაზე“,** – განაცხადა **თორნიკე მაისურაძემ**.

ის ნაბიჯი, რაზეც სამომავლოდ აკეთებს აქცენტს „მონოლითი ჯგუფი“, უკვე გადადგა კომპანია „არალმა“. მან სხვა ქვეყნის მოქალაქეები საკუთარ ბიზნესში უკვე ჩააბა.

**„ამ ეტაპზე, მშენებლობის ინდექსი ძალიან არის გაზრდილი. მიზეზი, მუშახელის გაძვირებაა. ადამიანები მასობრივად წავიდნენ ემიგრაციაში, რამაც ბაზარზე დეფიციტი შექმნა. მეზობელი ქვეყნებიდან შემოგვყავს მუშახელი, რომლებსაც შემდეგ ვასაქმებთ. ეს უფრო ხელსაყრელია, რადგან სპეციფიკური ვიზით შემოსული ადამიანი, სხვაგან ვეღარ მიდის და ვალდებულია შენთან იმუშაოს. ამ ზაფხულს მუშახელის დაბალანსება მოვახდინეთ, რადგან ადგილობრივ ბაზარზე ვერ ვპოულობდით შესაბამის კადრებს.**

**ბუნებრივია, ესეც ზრდის კომპანიის ხარჯს, რადგან ხელფასის მიღმა გვიწევს მათი კვებით და საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ასევე, უამრავი სხვა ხარჯია“,** – განაცხადა „არალის“ დირექტორის მოადგილემ, **ეკატერინე თათეშვილმა**.

ეკონომისტებს ეეჭვებათ, რომ ასეთი ანაზღაურების პირობებში ბიზნესი მასობრივად უცხოელი კადრების შემოყვანას ბიზნესი შეძლებს. ანალიტიკოს **ზურაბ კუკულაძის** აზრით, რატომაც ქართველი მუშახელი გადის ბაზრიდან, ზუსტად იგივე მიზეზით წავა და არ იმუშავებს უცხოელიც.

**„მთავარი არის ის, რომ ბიზნესს არ უნდა ხელფასის გაზრდა, არც ნორმალური ანაზღაურების გადახდა, არადა ვხედავთ, რა სიტუაციაც გვაქვს იმ პროდუქტთან დაკავშირებით, რომელსაც კონკრეტული სეგმენტი ყიდის. თუ უძრავი ქონების ბაზარზე ფასები კატასტროფულად მომატებულია, რატომ არ უნდა გაიზარდოს მუშახელის ანაზღაურება?!**

**ამ ხელფასების პირობებში, მასობრივად უცხოელთა შემოყვანას ისე, რომ ადგილობრივი მუშახელის გადინება დაბალანსდეს, ბიზნესი ვერ შეძლებს. რა მნიშვნელობა აქვს ქართველს გააქცევენ ბაზრიდან, თუ უცხოელს? შეიძლება ბიზნესმა ერთჯერადად, კონკრეტული პირობებით, შემოიყვანოს უცხოელები, მაგრამ, ეს ვერ მიიღებს მასობრივ ხასიათს. რატომაც ქართველი მუშახელი გადის ბაზრიდან (დაბალი ხელფასის და არასათანადო პირობების გამო), ზუსტად იგივე მიზეზით წავა და არ იმუშავებს უცხოელიც. ბიზნესი ამით პრობლემას ვერ მოაგვარებს“,** – განაცხადა კუკულაძემ.

**ბექა დანელია**

# ყარაბაღმა მსოფლიოს უკრაინა გადაავიწყა!..



**ყარაბაღში, ახლახანს დატრიალებულმა მოვლენებმა მსოფლიოს მას-მედიას უკრაინის ომი, თითქოს, დაავიწყა და მზერა მთლიანად ამ რეგიონზე გადაატანინა. ეს დღე, უდავოდ, ისტორიაში შევა. 19 სექტემბერს, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, ძალის დემონსტრირებით, მთიანი ყარაბაღის დაბრუნება გადაწყვიტა და სამხედრო მოქმედება დაიწყო, რომელსაც სპეც-ოპერაცია დაარქვა. აზერბაიჯანის არმია ელვისებურად გადავიდა შეტევაზე, დაიპყრო სტრატეგიული სიმაღლეები და ალყაში მოაქცია სტეფანაკერტი. მოგვიანებით, აზერბაიჯანის მთავრობამ ყარაბაღის ადმინისტრაციას ულტიმატუმი წაუყენა, დანებდით ან გაგანადგურებთო. ყარაბაღის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ აზერბაიჯანის სამხედრო ზეწოლას ვერ გაუძლო და სრული სამხედრო-პოლიტიკური კაპიტულაცია გამოაცხადა.**

ასე დასრულდა სპეცოპერაცია, რის შემდეგ, თითქმის, ორი კვირა გავიდა და, უკვე, დასკვნების გამოტანაც შეგვიძლია: ისტორიას ჩაბარდა დამოუკიდებელი სომხური მთიანი ყარაბაღი, რომელსაც, სომხურად, არცახი ერქვა. ყარაბაღი ახალ ცხოვრებას იწყებს აზერბაიჯანის სუვერენიტეტის ფარგლებში. თუ როგორი იქნება აზერბაიჯანული მთიანი ყარაბაღი, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ყარაბაღელი სომხების უმრავლესობას არ სურს ახალ ყარაბაღში ცხოვრება, და ამიტომ, ისინი სომხეთში გარბიან. უკვე, დაახლოებით, 100 000-მა ყარაბაღელმა დატოვა რეგიონი. მიდიან სამუდამოდ და მიაქვთ ყველაფერი, რის წაღებაც შეუძლიათ. სომხეთისა და ყარაბაღის საზოგადოების დიდი ნაწილი ამ გეპოლიტიკურ და სოციალურ კატასტროფაში ყოფილ მოკავშირეს, რუსეთს, ადანაშაულებს, რომელსაც ბაქოსა და ანკარასთან ფარულ გარიგებაში სდებს ბრალს.

რუსეთს სომხეთის „ყოფილ" მოკავშირეს მხოლოდ ამ ცხელ კონტექსტში ვუწოდებთ, თორემ, მომავალში რა იქნება, ჯერ არავინ უწყის. თვით პრორუსმა ბიზნესმენმა და ყარაბაღის ექს-პრემიერმა, რუბენ ვარდანიანმა, უმძიმესი ბრალდებები წაუყენა ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას. მისი აზრით, მათ არაფერი არ მოიმოქმედეს, რომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა გადაერჩინათ. ასევე, მთელს მსოფლიოში გავრცელდა სტეფანაკერტის აეროპორტში შეშინებული ადამიანების დრამატული ფოტოები, რომლებმაც, ბევრს, 2021 წლის ქაბულის აეროპორტის ტრაგიკული სცენები გაახსენა. მაშინაც და ახლაც, ჩვეულებრივი მოსახლეობა ღვთის ანაბარა იყო დარჩენილი. სწორედ, ამიტომაა, რომ პრო-რუსი სომხებიც კი, ახლა, რუსეთისკენ იშვერენ თითს.

ყარაბაღში განვითარებულმა მოვლენებმა ჯერ-კიდევ მოქმედი, დღევანდელი მსოფლიო წესრიგი გააშიშვლა. როგორც ჩანს, სამყაროში ორმაგი სტანდარტისა და ხისტი ძალის გამოყენების პოლიტიკამ იმძლავრა. აზერბაიჯანი ისე მოიქცა, როგორც საქართველო 2008 წელს. მაშინაც და ახლაც, ორივე ქვეყანას თავისი სუვერენიტეტის და კონსტიტუციური უფლებების აღდგენა სურდა. უბრალოდ, მაშინ, საქართველო მარტო იყო და მოვლენები როგორ წარიმართა, ყველამ კარგად ვიცით. ეს კია, რომ მაშინდელი რუსულ-ქართული და დღევანდელი რუსულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია და, რაც მთავარია, აზერბაიჯანს თურქეთი უმაგრებს ზურგს! ისტორიული ცინიზმის კლასიკური ნიმუშია, რომ, მაშინ, რუსეთმა თავი გამოიდო და აქტიურად გვეომა. ახლა კი, მსოფლიოს გასაგონად ამბობს, რაც ყარაბაღში დატრიალდა, აზერბაიჯანის სუვერენული უფლებაო.

ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტა არ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთის შორის პრობლემები აღარ დარჩა. ყარაბაღის შემდეგ, აზერბაიჯანს ზანგეზურის დერეფნის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ზანგეზურის დერეფანმა სომხეთის ტეროტორიაზე უნდა გაიაროს და ამით ნახიჭევანი აზერბაიჯანს დაუკავშირდეს. ამ დერეფანის ღიად დატოვებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება სომხეთი და ირანი. სომხეთი იმიტომ, რომ მისი სუვერენიტეტი სუსტდება, და ირანი იმიტომ, რომ რეგიონში თურქეთის კიდევ უფრო გაძლიერებას უფრთხის.

თურქეთი რომ მონდომებით ლობირებს ზანგეზურის დერეფანს, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. სწორედ ამაზე მეტყველებს, 25 სექტემბერს, ნახიჭევანში, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა, რომლის მთავარი თემა ზანგეზურის დერეფანი იყო. შეხვედრის დროს, ერდოღანმა განაცხადა, ჩვენ ველით, რომ სომხეთი უპასუხებს სამშვიდობოდ გაწვდილ ხელს და გულწრფელად გადადგამს ნაბიჯს ამ მიმართულებითო. ვნახოთ, რა მოხდება!

# ბობ მენენდესს ქრთამი „ნაყვარება"...

**ამერიკის დემოკრატიული პარტია დიდ სკანდალში გაეხვა. ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დემოკრატ პოლიტიკოსს, 69 წლის სენატორ რობერტ (ბობ) მენენდესს, კორუფციაში წაუყენეს ბრალი. ნიუ-იორკის გენერალური პროკურორის აზრით, ის და მისი ცოლი კერძო პირების ლობირების საქმეში ქრთამებს იღებდნენ. ამ ამბავმა მთელი დემოკრატიული პარტია საგონებელში ჩააგდო, რადგან ბობ მენენდესი უბრალო დემოკრატი პოლიტიკოსი არ არის. ის დემოკრატების ელიტას წარმოადგენს. ბობ მენენდესი, 2006 წლიდან დღემდე, ნიუ-ჯერსის სენატორია. მისი ხანგრძლივი ისტორია, კონგრესში მის დიდ პოლიტიკურ წონაზე მეტყველებს. ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტს ხელმძღვანელობს. ბრალდებების გამო, მას პოსტის დატოვება მოუწია.**



თავად სენატორი ამბობს, რომ დროებით დატოვა თანამდებობა. სკანდალს კი, გაუგებრობას და რესპუბლიკელების მიერ კუდიანებზე ნადირობას უწოდებს, მაგრამ ბევრი ამერიკელი დემოკრატი სულ სხვანაირად ფიქრობს. მათი აზრით, სენატორ მენენდესს მართლა აქვს წყალი შეყენებული. პროკურატურამ სერიოზული ბრალდებები წაუყენა მენენდესის ოჯახს. ითქვა, რომ მენენდესი არა მხოლოდ კერძო პირებისგან, არამედ, უცხო სახელმწიფოს პოლიტიკოსებისგანაც იღებდა ქრთამს. მაგალითად, მენენდესი ლობირებდა ეგვიპტის მთავრობას. ეს ეხებოდა ეგვიპტისთვის ამერიკის სამხედრო ტექნიკის მიწოდებასა და ამერიკაში ეგვიპტისთვის პოზიტიური იმიჯის შექმნას. ბრალდებიდან ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ სენატორი მენენდესი გასაიდუმლოებულ ინფორმაციას აწვდიდა ეგვიპტის მთავრობას. პოლიციამ უკვე გაჩხრიკა მენენდესის სახლი და იქ ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინა.

მის ვილაში, პოლიციამ ძალიან ძვირად ღირებული მანქანები, დიდი რაოდენობით ნაღდი ფული და ოქროს ზოდები იპოვა. მენენდესის პოლიტიკური დაცემა თურქეთსა და აზერბაიჯანს ესიამოვნა.

ბობ მენენდესი, უკვე, კარგა ხანია, სომხეთის ლობისტია. ამ საქმეში დიდი გავლენა იქონია მისმა მეუღლემ, ამერიკელმა სომეხმა. ბობ მენენდესი თურქეთისა და აზერბაიჯანის საკითხებს ყოველთვის ვეტოს ადებდა, დაბლოკა თურქეთისთვის სამხედრო თვითმფრინავების F-16-ის მიყიდვა, შეაჩერა აზერბაიჯანში ამერიკის ელჩად მეთიუ ბრაიზას დანიშვნა, რადგან მისი მეუღლე თურქია. დემოკრატებს ყველაზე მეტად უკვე-დაწყებულ საპრეზიდენტო კამპანიაში პარტიის იმიჯი აწუხებს, მითუმეტეს, რომ ნიუ-ჯერზის შტატი ყოველთვის დემოკრატების გავლენის ზონა იყო, რაშიც, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ბობ მენენდესს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ახლა კი, აგორებული სკანდალის გამო, დემოკრატებმა, შეიძლება, ეს შტატი დაკარგონ.

# შვედეთის პრემიერ-მინისტრი 3 ჩინელ ბავშვს ზრდის!



**შვედეთის პრემიერ-მინისტრი, ულფ კრისტერსონი, 60 წლის გამოცდილი პოლიტიკოსია. იგი შვედეთის ქალაქ ლუნდში, ეკონომისტის ოჯახში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ქვეყნის სამხედრო ძალებში იმსახურა. წარჩინებით დაამთავრა უფსალას უნივერსიტეტი ეკონომიკის განხრით. სტუდენტობაში, აქტიურად ჩაება შვედეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1985 წელს, შვედეთის ზომიერთა ანუ, ეგრეთწოდებულ, მოდერატულ პარტიაში გაწევრიანდა, რომელიც ქვეყნის ერთერთ უძველეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ეს ლიბერალურ-კოსერვატული იდეოლოგიის მქონე პარტია, 1904 წლიდან მოყოლებული, ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზეა.**

1991 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მისი პარტიის მიერ შექმნილმა კოალიციამ გაიმარჯვა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი გახდა. იმავე წელს, ულფ კრისტერსონი შვედეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

შემდეგ, თავისი პარტიის შრომისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2006 წელს, კრისტერსონი სტოკჰოლმის ვიცე-მერის თანამდებობაზე დანიშნეს და დედაქალაქის სოც-უზრუნველყოფის პოლიტიკის მართვა ჩააბარეს. ვიცე-მერობასთან ერთად, პარტიის საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩაბმული. პარტიის მიგრანტთა, ასევე, განათლების პოლიტიკას ხელმძღვანელობდა. იმ დროს, ქვეყანას მართავდა კრისტერსონის პარტიის მიერ ჩამოყალიბებული სამთავრობო კოალიცია, ხოლო პრემიერ-მინისტრი, კრისტესონის პარტიული კონკურენტი, ფრედერიკ რეინფელდტი, იყო. მან კრისტერსონი შემოირიგა და მინისტრთა კაბინეტის წევრობა შესთავაზა. ულფ კრისტერსონი შვედეთის სოც-უზრუნველყოფის მინისტრი გახდა. 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებში, კრისტერსონის პარტიამ და მისმა კოალიციამ ძალაუფლება სოციალ-დემოკრატებსა და მის კოალიციას დაუთმო.

ულფ კრისტერსონი, იმ პერიოდში, ოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტის ფინანსთა მინისტრი იყო. 2017 წელს, შვედეთის ზომიერთა პარტიის ყრილობაზე, ულფ კრისტერსონი პარტიის ლიდერად აირჩიეს. 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მემარცხენე და მემარჯვენე კოალიციამ, თითქმის, თანაბარი ხმები მიიღო. საკითხი დადგა ასე: რომელი კოალიცია მოახერხებდა დეპუტატების გადაბირებას მოწინააღმდეგე ბანაკიდან. კრისტერსონმა ეს ვერ შესძლო. ამასობაში, მემარცხენე კოალიციამ მთავრობის შეკოწიწება სცადა და წარმატებასაც მიაღწია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ისევ სოციალ-დემოკრატი გახდა, მაგრამ ოპოზიცია, კრისტერსონის ლიდერობით, გასაქანს არ აძლევდა სოციალ-დემოკრატებს: მწვავედ აკრიტიკებდა მთავრობის მიერ კოვიდის პანდემიის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებსა და მიგრაციის მემარცხენე პოლიტიკას. შვედეთი, ევროპის ქვეყნებს შორის, იმიგრანტთა რაოდენობით, ლიდერობს. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს მიგრაციის მიმართ მთავრობის ლიბერალური მიდგომის გამო. სწორედ ამიტომ, 2022 წლის საარჩევნო კამპანია სწორედ მიგრანტების, უკრაინის ომისა და უსაფრთხოების თემებზე იყო აგებული.

ყველა ამ საკითხში, მემარჯვენეები მეტ კონკრეტულობასა და სისხარტეს ამჟღავნებდნენ, და წარმატებასაც მიაღწიეს კრისტერსონის ლიდერობით. 2022 წლის 18 ოქტომბერს, კონსტიტუციის მიხედვით, შვედეთის მეფე კარლ-გუსტავ მეთექვსმეტემ ქვეყნის პრემიერ-მინისტრად ულფ კრისტერსონი დანიშნა, რის შემდეგ, შვედეთის პარლამენტმა ის და მისი კაბინეტი ოფიციალურად დაამტკიცა. ახალმა კაბინეტმა ქვეყნის მართვის პირველი 100 დღის განმავლობაში, რეფორმათა ახალი პაკეტი მიიღო: ენერგოკრიზისის გამო, შვედეთმა ატომურ ენერგიაზე გადაიტანა აქცენტი, გადაწყვიტა რა ახალი ატომური ელექტროსადგურების აშენება, გაამკაცრა იმიგრაციის კანონები, საიმიგრაციო ბიუროში გაზარდა შტატებიც, დაფინანსებაც და უფლებამოსილებაც, დაკანონდა ლტოლვილთა მკაცრი გადამოწმების პოლიტიკა, ანუ თუ ლტოლვილი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს, ქვეყნიდან მისი გაძევება ხდება. შვედეთმა უარი თქვა ნეიტრალიტეტზე და ნატოს ოფიციალური წევრობისთვის ემზადება. გაიზარდა შვედეთის თავდაცვის ბიუჯეტი.

2023 წლის 15 თებერვალს შვედეთის პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვიზიტით კიევს ეწვია და თითქმის ყველა სფეროში, უკრაინელ ხალხს მხარდაჭერასა და დახმარებას დაპირდა. ულფ კრისტერსონი ქორწინებაშია. ქორწინებამდე, მისი მეუღლე, ბირგიტა ედი, მისი პიარ-კონსულტანტი იყო. 2018 წელს, ქალბატონმა კრისტერსონმა გადაწყვიტა სასულიერო პირი გამხდარიყო და შვედეთის ლუთერანული ეკლესიის სამსახურში ჩადგა. კრისტერსონების ოჯახი დიდხანს იყო უშვილო, მერე ჩვილი ასაკის სამი ჩინელი გოგონა იშვილეს და ახლა იმათ ზრდიან...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# პენტაგონს უკრაინის დაფინანსების მარაგი ეწურება



**პენტაგონმა აშშ-ის კონგრესი გააფრთხილა, რომ მათ უკრაინაში გაგზავნილი იარაღის შესაცვლელად სახსრები ეწურებათ. აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ საფინანსო საკითხებში, მაიკლ მაკკორდმა პალატისა და სენატის ლიდერებს განუცხადა, რომ იმ 25,9 მილიარდი დოლარიდან, რომელიც კონგრესმა გამოყო უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის აღსადგენად, ახლა 1,6 მილიარდი დოლარი დარჩა.**

მაკკორდმა აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა მთლიანად ამოწურა კიევის ის გრძელვადიანი დაფინანსება უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს თანხებს იარაღის სამომავლო მიწოდების ხელშეკრულებების გასაფორმებლად. აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ დასძინა, რომ დამატებითი დაფინანსების გარეშე, აშშ იძულებული იქნება შეაჩეროს ან შეამციროს საჰაერო თავდაცვის, საბრძოლო მასალის, თვითმფრინავების და სპეციალური აღჭურვილობის მიწოდება, რომლებიც **„კრიტიკული და გადაუდებელია ახლა, რადგან რუსეთი ზამთრის შეტევისთვის ემზადება“.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი გააკრიტიკა კონგრესი იმის გამო, რომ მათ მიერ დამტკიცებულ დროებით ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული უკრაინისთვის დახმარების ხარჯები.

**„მინდა, მეც გავიზიარო პრეზიდენტის იმედგაცრუება, რომ, უკრაინის ხანგრძლივი და ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერის მიუხედავად, რომელიც იზრძვის რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ, რეზოლუცია, რომელიც შაბათს კონგრესმა მიიღო, არ ითვალისწინებს საჭირო მხარდაჭერას“**, – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, მეთიუ მილერმა. მილერის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას აქვს შესაძლებლობა, განაგრძოს უკრაინის მხარდაჭერა უახლოეს პერსპექტივაში, მათ უკვე ამოწურეს უსაფრთხოების დახმარებისთვის არსებული დაფინანსების უმეტესი წილი.

**„პრეზიდენტ პუტინის მსგავს ავტორიტარულ რეჟიმებს თუ მივცემთ საშუალებას, გააკეთონ ის, რაც სურთ სხვა სუვერენულ ქვეყნებში, მაშინ გაერო-ს მთელი წესდება განადგურდება. ჩვენ არ გვინდა, ვიცხოვროთ სამყაროში, სადაც ამგვარი აგრესია შეიძლება მოხდეს სადმე, ნებისმიერ დროს“,** – დასძინა მილერმა.

გასულ შაბათს აშშ-ის კონგრესმა დაამტკიცა დროებითი, 45-დღიანი ბიუჯეტი, რათა თავიდან აეცილებინა მთავრობის მუშაობის შეჩერება, ე.წ. შათდაუნი. დროებით ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული უკრაინისთვის დახმარების ხარჯები. მოგვიანებით, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა რესპუბლიკელებს მოუწოდა, არ დაუშვან უკრაინისთვის დახმარების შეფერხება და იმუშაონ წლიური ბიუჯეტის დასამტკიცებლად.

# თუ უკრაინამ მექრთამეობა და უკანონობის მემკვიდრეობა არ დაძლია!..



**კორუფციის პრობლემის მოგვარება უკრაინის ევროკავშირში სრულუფლებიანი წევრობის იმედების განხორციელების წინაპირობაა,** – წერს ბრიტანული გაზეთი **Financial Times**-ი სტატიაში სათაურით **„უკრაინაში კორუფციასთან ბრძოლა“.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ უკრაინის ომისშემდგომი აღდგენა და ევროკავშირში გაწევრიანება დამოკიდებული იქნება მექრთამეობისა და უკანონობის მრავალწლიანი მემკვიდრეობის დაძლევაზე.

**„კორუფციის დასამარცხებლად ბრძოლა აუცილებელია სამი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს საშუალებას მისცემს უკრაინას, უფრო ეფექტურად განახორციელოს თავისი თავდაცვითი ომი რუსეთის წინააღმდეგ. მეორეც, ეს გააუმჯობესებს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივებს. ეს ასევე ერთხელ და სამუდამოდ გააქარწყლებს იმ იმიჯს, რომელიც უკრაინამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძინა, როგორც კორუფციით, ორგანიზებული დანაშაულითა და უკანონობით გახრწნილმა ქვეყანამ. ეს სურათი მშვენივრად შეეფერებოდა რუსეთის ინტერესებს, რაც კრემლს აძლევდა საშუალებას ეთქვა, რომ უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გრძელვადიანი მომავალი და ლეგიტიმაცია ყოველთვის საეჭვო იქნებოდა“,** – ნათქვამია სტატიაში. სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რაც უფრო წარმატებული იქნება უკრაინის ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მით უფრო მკვეთრი იქნება კონტრასტი ვლადიმირ პუტინის რუსეთთან, რომელიც არც დემოკრატიულია და არც (რბილად რომ ვთქვათ) თავისუფალი კორუფციისგან.

# ინვესტიციების ჩადებაზე თავს იკავებენ...

**27 სექტემბერს, უკრაინის ეკონომიკური აღდგენის საკითხებში აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა, პენი პრიცკერმა განაცხადა, რომ ამერიკულ კერძო კომპანიებს სურთ ინვესტიციის ჩადება უკრაინაში, თუმცა უკრაინამ უნდა განახორციელოს რეფორმები ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიმართულებით.**



სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში, პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გააძლიერა ძალისხმევა კორუფციის დასაძლევად.

**„ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა განცხადება უკრაინის მრავალმილიარდიანი დახმარების გეგმების შესახებ, ან ბლოკის აღმოსავლეთით შესაძლო გაფართოების შესახებ, შეიცავს მითითებას კორუფციის წინააღმდეგ მდგრადი ბრძოლის აუცილებლობაზე“,** – ნათქვამია სტატიაში.

# თბილისში დაბადებული ჩათლახი ლავროვი დაჰპირდა ბჟანიას, რომ...

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუპერარამზადა **სერგეი ლავროვმა** სოხუმში გამართულ შეხვედრაზე სოხუმის დე ფაქტო ლიდერს ასლან ბჟანიას მოსკოვის მიერ აფხაზეთის აღიარების 15 წლის იუბილე და საქართველოსთან ომში გამარჯვების 30-ე წლისთავი მიულოცა.

**„მე ვიცი, რომ სოხუმში მასშტაბური ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის ისეთი, რომელშიც რუსეთის ოფიციალური პირები მონაწილეობდნენ, ჩვენ გავაგრძელებთ აფხაზეთის მხარდაჭერას ეკონომიკის, სოციალური სფეროს, ენერგეტიკაში და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. გავაფართოებთ იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალს, რომლებმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს,“** – განაცხადა ლავროვმა.



ასლან ბჟანიას თქმით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. მან რუსეთის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა სოხუმის აეროპორტის აღდგენის საინვესტიციო პროექტის ხელმოწერისთვის.

ბჟანიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება და აფხაზეთის მოსახლეობა მხარს უჭერს ინტეგრაციულ პროცესებს, რის რეალიზებასაც რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ცდილობს. ასევე ბჟანიამ ლავროვს უკრაინაში ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

# საქართველოს პროკურატურამ თაღლითები გამოიჭირა

**პროკურატურამ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, ე.წ. ,,დირსის დასახლებაში“ სხვადასხვა მესაკუთრისგან დაიქირავეს ბინები, აღნიშნული ქონება საკუთრებად გაასაღეს და დაზარალებულებს მიგირავებას ჰპირდებოდნენ, ამ მიზნით მოტყუებით ართმევდნენ თანხებს და ეუბნებოდნენ, რომ აღნიშნული ბინები იპოთეკით უკვე ჰქონდათ დატვირთული, რისი მოხსნის შემდგომაც, თითქოსდა მათთან სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებებს გააფორმებდნენ. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულები ოთხი დაზარალებულის კუთვნილ 123 540 ლარს თაღლითურად დაეუფლნენ. სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 29 სექტემბერს დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა დიდი ოდენობით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### შპს „ჯი აი დი“ - ს (ს/კ 406032859) დირექტორის - დავით თანანაშვილის (პ/ნ 01007008388) შეტყობინების თაობაზე

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით (შემდგომში - დეპარტამენტი) ხორციელდება მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი 2) გუდაურის შემოვლითი გზის პროექტის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ექცევა შპს „ჯი აი დი“ - ს, რომლის დირექტორია დავით თანანაშვილი, საკუთრებაში არსებული 5300 კვ.მ (საკადასტრო კოდი 71.62.47.278) მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ 459 კვ.მ. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია პროექტის ფარგლებში მოქცეული (კერძო საკუთრებაში არსებული) მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის პროცედურების დასრულება.

დეპარტამენტი, სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით მოქალაქეებს სთავაზობს, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ, განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ შემუშავებულ, შესაბამის (საბაზრო) საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო თანხების ანაზღაურებას.

დეპარტამენტი მოქალაქეს სთხოვს, აღნიშნული განცხადების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, დეპარტამენტს აცნობოს თავისი პოზიცია (თანხმობა ან უარი) შემოთავაზებული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ სათანადო ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ’’ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ყინულზე

# თევზი თავიდან ყარს




**ბუდაპეშტში იუნიორთა შორის გრან პრის მე-5 ეტაპზე გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი სპორტულ წყვილებში, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა ანასტასია მეტელკინამ და ლუკა ბერულავამ ორი პროგრამის ჯამში 190,45 ქულა მოიპოვეს და 1 ადგილთან ერთად ოქროს მედლები დაიმსახურეს.**

ანასტასია მეტელკინა-ლუკა ბერულავას სპორტული წყვილი გრან პრის ეტაპების რეიტინგულ სიას 15-ქულიანი შედეგით ლიდერობს, რითიც პირველებმა მოიპოვეს საგზური გრან პრის ეტაპების ფინალში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 7-10 დეკემბერს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართება.

აღნიშნული წარმატებით ჩვენ უკვე გაგახარეთ, მაგრამ მაშინ არაფერი გვითქვამს იმ ამაზრზენ უსაქციელობაზე, რომლითაც მეორე ადგილზე გასულმა უკრაინელებმა შეირცხვინეს თავი.

დიახ, საპატიო კვარცხლბეკზე დგომისას მათ დემონსტრაციულად არ ჩამოართვეს ხელი ჩემპიონებს, აქაოდა ისინი რუსეთში არიან დაბადებულნიო.

ფეხის ხმას აყოლილ ამ ვაისპორტსმენებს მოკლედ მოვუჭრით: თუ პროტესტია, პროტესტი იყოს და თავიდანვე თქვით უარი თქვენთვის თითიდან გამოწოვილი ვითომ კონიუნქტურით ნასაზრდოებ ტურნირში მონაწილეობაზე – იქნებ მოდურ პროცესში თანამოაზრეებიც გამოგიჩნდნენ და ბოიკოტიც შესამჩნევად გაპიარდება. მით უმეტეს, ეს იდეა უპრიანად გვესახება მაშინ, როცა ასპარეზობას რუსეთის მოკავშირე უნგრეთი მასპინძლობდა.

და ბოლოს: იქნებ ერთ-ერთ მეამბოხეს სეროვას რუსული გვარი მაინც გამოეცვალა.

მემორიალი

# დუდუს აჩრდილი...

**თბილისი არენაზე დუდუ დადიანის მემორიალი დაიწყო. აღნიშნული ტურნირი 2002 წლიდან ტარდება და წლევანდელი გათამაშება რიგით 22-ეა, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. მოგახსენებთ, რომ მონაწილენი 4 ჯგუფში არიან გადანაწილებულნი და ნახევარფინალში თითოეულიდან საუკეთესო გავა.**

პირველი შეხვედრა **D ჯგუფის** გახლდათ, რომელშიც ოლიმპი „ა“ ლიგის დებიუტანტ „სოხუმი-საქართველოს“ დაუპირისპირდა.

„სოხუმი-საქართველო“ ახალი გუნდია, რომელმაც „ა“ ლიგაში ადგილი „ტიტებისგან“ იყიდა და 2023-2024 წლების სეზონში სუპერლიგაში აღზევებას „ა“ ლიგიდან ეცდება. გუნდის მწვრთნელია **გია კაზანჯიანი,** რომელსაც კლუბები სუპერლიგაშიც და „ა“ ლიგაშიც გამოუყვანია. ახალშექმნილმა კლუბმა დუდუ დადიანის მემორიალზე მონაწილეობით შესანიშნავი შესაძლებლობა მიიღო საიმისოდ, რომ შეთამაშდეს, საკუთარი შესაძლებლობები შეაფასოს და შემდგომში, “ა“ ლიგის ახალი სეზონისთვის გუნდი შესაბამისად გააძლიეროს.




„სოხუმი-საქართველოს“ ლეგიონერები არ ჰყავს და ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, რომელთა უმეტესობასაც სწორედ „ა“ ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. რაც შეეხება ოლიმპს, სუპერლიგის ბოლო წლების ამბიციური გუნდი წლეულს შედარებით ხელმოკლედაა. მას 3 ლეგიონერი ჰყავს, თუმცა ქართველი მოთამაშეებიდან ყველა ახალგაზრდაა, რომელთა შორისაც გამოსარჩევია ეროვნული ნაკრების წევრი, 20 წლის ლუკა ლიკლიკაძე. ყველაზე გამოცდილი ქართველი 24 წლის ივანე მეგენეიშვილია, რომელმაც სასტარტო მატჩში თავი 17 ქულით, 12 მოხსნითა და 4 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.

ოლიმპმა საბოლოოდ 18 ქულის სხვაობით მოიგო – 100:82, რაშიც დიდი წვლილი 3 ლეგიონერს – აიზია სმოლს, მაიკლ რაითს და ენდრიუ ლუისს მიუძღვით. „სოხუმი-საქართველოს“ გუნდის წევრები იბრძოდნენ და რამდენჯერმე ჩამორჩენა 10 ქულაზე დაბლაც ჩამოიყვანეს, თუმცა თამაშის მოსაგებად ძალა და გამოცდილება არ ეყოთ. სოხუმელთაგან 19 ქულით, 7 მოხსნითა და 4 პასით ირაკლი კილაძე გამოირჩა, 14 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი კი მამუკა ბაზუაშვილმა მიითვალა.

ამ ჯგუფში თსუ ისვენებდა, რომელიც დუდუ დადიანის მემორიალში დღეს „სოხუმი-საქართველოსთან“ მატჩით ჩაებმება.

**გუშინ: დადიანის მემორიალის პირველი ნახევარფინალისტი ზესტაფონის მარგვეთი გახდა.**

ოვალური ბურთი

# წინსვლა რეიტინგში

**მსოფლიო თასზე მეოთხე ტურის დასრულების შემდეგ მსოფლიო რაგბიმ რეიტინგი განაახლა, რომლის მოწინავე ათეულში ცვლილება არ მომხდარა.** სამაგიეროდ, ფიჯისთან მარცხის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები ერთი პოზიციით დაწინაურდა.



**ლევან მაისაშვილის** გუნდი მე-14 ადგილიდან მე-13-ზე აღზევდა. ორი პოზიცია დაკარგა სამოამ, რომელსაც იაპონიამ და საქართველომ გადაასწრეს.

1. ირლანდია – 93.79 ქულა,
2. საფრანგეთი – 90.59,
3. სამხრეთ აფრიკა – 89.70,
4. ახალი ზელანდია – 87.69,
5. შოტლანდია – 83.43,
6. ინგლისი – 83.24,
7. უელსი – 83.17,
8. ფიჯი – 81.16,
9. არგენტინა – 79.31,
10. ავსტრალია – 77.48,
11. იტალია – 75.93,
12. იაპონია – 75.51,
13. საქართველო – 72.68,
14. სამოა – 72.23
15. ტონგა – 70.29 ქულა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიასა და ფიჯისთან წააგო, პორტუგალიასთან კი ფრედ ითამაშა. „ბორჯღალოსნები“ ბოლო ტურში 7 ოქტომბერს უელსის ნაკრებს შეხვდებიან.

ლეგიონერი

# მწვრთნელის კომენტარი

**„ტორინოს“ მთავარმა მწვრთნელმა ივან იურიჩმა საბა საზონოვის ტრავმაზე ისაუბრა. როგორც მან თქვა, მოტეხილობა არ აქვს და ფეხია შეშუპებული.** უახლოეს დღეებში გამოჩნდება, როგორი იქნება მისი მდგომარეობა.

**„ფეხში ჩაარტყეს, დააბიჯეს, მაგრამ მოტეხილობა არ არის. რენტგენი გადავუღეთ, ახლა შეშუპებულია და ვნახოთ, როგორ განვითარდება სიტუაცია, მაგრამ მოტეხილობა არ აქვს, რაც უკვე მნიშვნელოვანია. მიმდინარე კვირაში შევაფასებთ მის მდგომარეობას, ვნახოთ, როგორ იქნება“,** – აღნიშნა იურიჩმა.

„ტორინოს“ მწვრთნელს ასევე ჰკითხეს ტაქტიკურ გადაადგილებაზე, რადგან საზონოვმა მარჯვენა ცენტრალურ მცველად ითამაშა, როდესაც „ლაციოსთან“ ცენტრში მოქმედებდა. მან ამჯერად ადგილი პეერ შუურსს გაუცვალა.



**„ეს არჩევანი ფეხბურთელთა თვისებებიდან გამომდინარე გავაკეთე. „ლაციოსთან“ სიტუაცია განსხვავებული იყო, საზონოვი არ გახლდათ მზად მესამე მცველად ეთამაშა, დღეს კი უფრო ადვილი იყო ტაქტიკურ დონეზე ამის გაკეთება“.**

შეგახსენებთ, რომ „ტორინოს“ 9 ქულა აქვს მოპოვებული და მომდევნო ტურში 7 ოქტომბერს სტუმრად „იუვენტუსთან“ ტურინულ დერბიში თამაში მოუწევს. საზონოვმა „ტორინოს“ რიგებში დღემდე ორჯერ ითამაშა.

რალი

# ოჟიეს საფარი



**მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონმა, ფრანგმა სებასტიან ოჟიემ საფარის რალი მოიგო, მისი გუნდის, „ტოიოტას“ ეკიპაჟებმა კი სეზონის ყველაზე რთული რბოლის პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს.**

ოჟიე არასრულ ჩემპიონატს ატარებს - მხოლოდ რამდენიმე ეტაპზე ასპარეზობს. მან უკან მოიტოვა ჩემპიონატის ლიდერი, ფინელი კალე როვანპერა, ვისაც 6.7 წამით აჯობა, მომდევნო ორი ადგილი კი უელსელმა ელფინ ევანსმა და იაპონელმა ტაკამოტო კაცუტამ დაიკავეს.

ამგვარად, ამ სეზონში ოჟიემ უკვე ხუთ რბოლაში მიიღო მონაწილეობა და მათგან მესამე მოიგო. საფარის რალის ბოლო დღის წინ ის 16.7 წამს უგებდა მოქმედ ჩემპიონ როვანპერას, რომელმაც კვირის პირველივე სპეცმონაკვეთზე ჩამორჩენა გაანახევრა.

მომდევნო სპეცმონაკვეთზე ოჟიე ხეს დაეჯახა, რითაც მის „ტოიოტა იარისს“ უკანა ფრთა დაუზიანდა. ამის მიუხედავად, ფრანგმა საუკეთესო დრო დააფიქსირა. ბოლო სპეცმონაკვეთზე ოჟიეს მანქანაზე უკვე საქარე შუშა დაუზიანდა, თუმცა ამის მიუხედავად უპირატესობის შენარჩუნება მაინც მოახერხა.

**„დაუჯერებელია... ბოლო მონკვეთზე საქარე შუშაში ქვა მომხვდა, ადრეც ბევრი პრობლემა გვქონდა. მაგრამ საერთო ჯამში სიჩქარე კარგი მქონდა. ყველაფრის მიუხედავად, რბოლა დავამთავრე და მოვიგე. საოცარია“,** - განაცხადა ოჟიემ.

როვანპერამ ჩემპიონატში ლიდერობა განიმტკიცა. 7 ეტაპის შემდეგ ის „ჰიუნდაის“ ბელგიელ ტიერი ნოივილს, ვინც საფარიზე მხოლოდ მერვე ადგილს დასჯერდა, 37 ქულას უგებს. მესამეზე ასევე კორეული გუნდის პილოტი, ესპანელი დანი სორდოა, ვინც კენიურ რბოლაში მეხუთე იყო. ის ლიდერს 42 ქულით ჩამორჩება.

მსოფლიო ჩემპიონატში სულ 13 ეტაპია და მათგან მერვე ესტონეთში გაიმართება.



გვერდი მოამზადა **გიორგი შოთაძემ**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირინა ბოლქვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირინა ბოლქვაძე (პ/ნ 61009010313), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17 (საკადასტრო კოდი: 85.27.22.194 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 35171.08 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 3 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 17 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93016023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 930160

6. **მოვალე:** ირინა ბოლქვაძე (პ/ნ 61009010313), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17;
ზაურ ირემაძე (პ/ნ 61004013758), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93016023; ლოტის ნომერი: 930160).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 17 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ახმედ ახმედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ახმედ ახმედოვი (პ/ნ 36101057364), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-16 II შეს. №4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილის ქუჩა №9, სართული 5, ბინა №44 (საკადასტრო კოდი: 55.12.00.000.176.01.044 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26996.03 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 4 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93058823;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 930588

6. **მოვალე:** ახმედ ახმედოვი (პ/ნ 36101057364), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-16 II შეს. №4.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93058823; ლოტის ნომერი: 930588).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 18 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (საკადასტრო კოდი: 29.09.41.395 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 49162.73 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 3 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 17 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93016423;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 930164

6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93016423; ლოტის ნომერი: 930164).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 17 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გაგა ჯანჯღავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგა ჯანჯღავა (პ/ნ 58001012798), ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი (საკადასტრო კოდი: 45.14.24.045 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთის ნაწილზე (489.16 კვ.მ.) რეგისტრირებულია სერვიტუტი.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 71854.39 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 4 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93059223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 930592

6. **მოვალე:** გაგა ჯანჯღავა (პ/ნ 58001012798), ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93059223; ლოტის ნომერი: 930592).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 18 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# დემნა გვასალიამ პოდიუმზე დედა გამოიყვანა



**BALENCIAGA-ს გაზაფხული-ზაფხული 2024-ის ჩვენება საკმაოდ პომპეზურად და შეიძლება ითქვას, „ქართულად“ გაიმართა. შოუს ლოკაცია მე-17 საუკუნის შენობა იყო პარიზში.**

საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ჩვენებაზე დემნა გვასალიას დედის, ელას გამოჩენა მოდელის რანგში.

შოუზე იყო დემნას მამაც. ასევე მონაწილეებს შორის იყო ქართველი მანეკენი საბა ბახია.

შოუს ესწრებოდა ლელა წურწუმია, რომელიც ახლოს გაეცნო დემნას. როგორც აღმოჩნდა, როცა დიზაინერს საქართველო ენატრება, ლელას სიმღერებს უსმენს.

# მთამსვლელთა ფესტივალი ყაზბეგში

**6-8 ოქტომბერს, საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია ქართული მთამსვლელობის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გეპატიჟებათ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გველეთში.**




გველეთში მოეწყობა ბანაკი, გაიმართება კონცერტები, ფილმის ჩვენება და მთამსვლელთა დაჯილდოება. შეგახსენებთ, წელს 100 წელი გავიდა მყინვარწვერზე პირველი ქართული ასვლებიდან, ექსპედიციები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ალპინიზმს, 1923 წლის აგვისტოში გიორგი ნიკოლაძის, ხოლო სექტემბერში ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა.

# ბანდიტები ადამიანებს თირკმლებს აჭრიდნენ

**პაკისტანში დააკავეს ბანდიტური დაჯგუფება, რომელიც 8 ადამიანისგან შედგება და ექიმი ხელმძღვანელობდა. მათ ადამიანებს თირკმელები არალეგალურად ამოაჭრეს, რათა მდიდარი კლიენტებისთვის გადაენერგათ.**

ამასთან, მთავრობის განცხადებით, ზოგიერთ დაზარალებულს ოპერაციაზე თანხმობა არ მიუცია. როგორც პრესკონფერენციაზე პანჯაბის პროვინციის მთავრობის მეთაურმა განაცხადა, ექიმი ოპერაციას სახლში ატარებდა, ხშირად კი ეს დონორი პაციენტების თანხმობის გარეშე ხდებოდა. როგორც ცნობილი გახდა, დამნაშავეებმა მინიმუმ 328 ოპერაცია ჩაატარეს და სულ მცირე 3 დონორი დაიღუპა.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულები თირკმელს 10 მილიონ რუპიად (120 000 დოლარი) ყიდდნენ უცხოელ პაციენტებზე, ხოლო პაკისტანელებზე 3 მილიონ რუპიად.

# ასტეროიდის ნიადაგი დედამიწაზე ჩამოიტანეს



**პირველად ისტორიაში, დედამიწაზე ასტეროიდის გრუნტი ჩამოიტანეს. გამოცემის ინფორმაციით, ასტეროიდ „ბანუს“ ნიადაგის ნაწილი პლანეტაზე NASA-ს ზონდის „ოსირის რექსის“ მეშვეობით ჩამოიტანეს. ზონდმა ნიმუშები 2020 წელს შეაგროვა. ზონდის კაფსულა იუტას შტატის სამხედრო პოლიგონზე დასვეს, გუშინ კი სამეცნიერო ანალიზისთვის, ჰიუსტონში, NASA-ს ცენტრში გადაიტანეს.**

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ასტეროიდის ნიმუშის სამეცნიერო ანალიზით, პლანეტების ფორმირებისა და დედამიწაზე ორგანული სიცოცხლის წარმოშობის შესახებ მეტ ინფორმაციას მიიღებენ.

# ხალხური ცხენოსნობის ფესტივალი აბაშაში



**აბაშის იპოდრომზე ხალხური ცხენოსნობის ტრადიციული ფესტივალი გაიმართა. შეჯიბრი სპორტის სამ სახეობაში – სადა დოღში, ცხენბურთსა და ისინდში ჩატარდა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა მხედრებმა მიიღეს მონაწილეობა. სპორტის სამივე სახეობაში გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ.**

ღონისძიება საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციისა და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

# დაიწყო ნობელის პრემიის კვირეული




**სტოკჰოლმში ნობელის პრემიის კვირეული დაიწყო. ტრადიციულად, პირველი გამარჯვებული ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში გამოვლინდა.**

2023 წელს ჯილდო კატალი კარიკოსა და დრიუ ვაისმანს გადასცეს „ნუკლეოზიდური ფუძის მოდიფიკაციებთან დაკავშირებული აღმოჩენისთვის, რომელმაც COVID-19-ს საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა გახადა შესაძლებელი. დღეს გამოვლინდება გამარჯვებული ფიზიკის დარგში, 4 ოქტომბერს ქიმიის, 5 ოქტომბერს ლიტერატურის, 6 ოქტომბერს კი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი დასახელდება. 9 ოქტომბერს გახდება ცნობილი ვინ მიიღებს ალფრედ ნობელის სახელობის პრემიას ეკონომიკის დარგში.

# კადიროვი შვილს ვიცე-პრემიერად ნიშნავს



**ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის შვილი აიშატ კადიროვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი გახდება. მედიის ცნობით, ის სოციალურ საკითხებზე იმუშავებს. როგორც „ეხო კავკაზა“ წერს, შესაბამისი წინადადება ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარემ მუსლიმ ხუჩიევმა წამოაყენა, რამზან კადიროვმა კი ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა.**

ცნობისთვის, აიშატ კადიროვი აქამდე ჩეჩნეთის კულტურის მინისტრის პოსტს იკავებდა, მანამდე კი, 21 წლის ასაკში კულტურის მინისტრის მოადგილე იყო. მას მიღებული აქვს მედლები „სამშობლოს წინაშე დამსახურებებისთვის“, „ადამიანთა უფლებების დაცვისთვის“, თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის „მეგობრობის ორდენი“ და ჩეჩნეთის უმაღლესი ჯილდო – „კადიროვის ორდენი“.

# მექსიკაში ეკლესია ჩამოინგრა... არის მსხვერპლი

**ჩრდილოეთ მექსიკაში, ტამაულიპასის შტატში წირვის დროს ეკლესიის სახურავი ჩამოინგრა, რასაც სულ მცირე 9 ადამიანი ემსხვერპლა, დაახლოებით 50 კი დაშავდა.**



მაშველები ნანგრევებში მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ გადარჩენილებს. ოფიციალური ცნობებით, უბედური შემთხვევის დროს ტაძარში მყოფი 100-მდე ადამიანიდან 30 მოყვა ნანგრევებში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6802; ევრო - 2.8097;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2339;
100 რუბლი - 2.7215; თურქული ლირა - 0.0976;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5760;
1000 სომხური დრამი - 6.6323

**ამინდი 4 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +20 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე | +14, | დღე +22 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge